ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

მარი მჭედლიშვილი

# რუსეთი ქართული პოლიტიკური ელიტების რიტორიკაში (1990-2016)

ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: დავით მაცაბერიძე

პოლიტიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,

ასისტენტ–პროფესორი

თბილისი

2017

# ანოტაცია


ნაშრომის მიზანია რუსეთის მიმართ ქართული პოლიტიკური ელიტების რიტორიკის ცვლილების გამომწვევი ძირითადი ფაქტორების იდენტიფიცირება და შესწავლა 1990-2016 წლების საქართველოს მაგალითზე.

ჰიპოთეზის თანახმად, ქართული პოლიტიკური ელიტების რიტორიკის ცვლილება რუსეთის მიმართ განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით - ხელისუფლების ცვლილებით, საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილებით, ქვეყანაში შიდა პოლიტიკური ვითარების ცვლილებითა და მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვების საჭიროებით.

ჰიპოთეზის შემოწმების მიზნით ნაშრომში განხილულია დამოუკიდებელი საქართველოს ოთხი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძის, მიხეილ სააკაშვილის და გიორგი მარგველაშვილის მმართველობის პერიოდები. სწორედ ქვეყნის მმართველი პირების განცხადებებისა და საჯარო გამოსვლების ანალიზის საფუძველზე კვლევა შეეცდება დაადგინოს, თუ როგორ იცვლებოდა რუსეთის სახე ქართული პოლიტიკური ელიტების რიტორიკაში არა მხოლოდ სხვადასხვა, არამედ ერთი და იმავე ხელისუფლების მმართველობის პერიოდებშიც.

ნაშრომი ცდილობს პასუხი გასცეს მთავარ **საკვლევ კითხვებს**: რა ფაქტორებმა განაპირობა ქართული პოლიტიკური ელიტების რიტორიკის ცვლილება რუსეთის ფედერაციის მიმართ და რამდენად ახდენდა აღნიშნული რიტორიკა გავლენას საზოგადოების მობილიზაციაზე ?

**დამოკიდებული ცვლადები:** ქართული პოლიტიკური ელიტების რიტორიკის ცვლილება; საზოგადოების მობილიზაცია რუსეთის, როგორც „მტრის“ წინააღმდეგ.

**დამოუკიდებელი ცვლადები:** ხელისუფლების ცვლილება, საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილება; შიდა პოლიტიკური ვითარების ცვლილება; საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვების საჭიროება „მტრის ხატის“ შექმნით.

ნაშრომის თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს ნაციონალიზმის ელიტისტური თეორია - ინსტრუმენტალიზმი, რომლის ფარგლებშიც განხილული იქნება ქართული პოლიტიკური ელიტების რიტორიკის ცვლილების გამომწვევი მიზეზები.

# The Image of Russia in the Rhetoric of the Georgian Political Elites (1990-2016)

Mari Mchedlishvili

**Annotation**

The purpose of this paper is to identify the major factors which influence the image of Russia in the rhetoric of the Georgian political elites on the example of 1990-2016s Georgia.

According to the hypothesis – changes of the government, foreign policy course, internal political condition and need of population support shapes the image of the Russia in the rhetoric of the Georgian political elites.

In order to check the hypothesis paper discusses cases of four Presidents of independent Georgia, accordingly precidency periods of Zviad Gamsakhurdia, Eduard Shevardnadze, Mikheil Saakashvili and Giorgi Margvelashvili. Based on the analyze of statements and public speeches of the ruling classes, the research will try to determine how was changing the image of Russia in the rhetoric of the Georgian political elites not only different but in the ruling period of the same government.

The following paper will try to answer the main research questions: Which factors determine the image of Russia in the rhetoric of the Georgian elites? How this rhetoric influenced on the mobilization of population?

Dependent variables: Change of rhetoric of the Georgian political elites; Mobilization of population against Russia as an "enemy".

Independent variables: Change of government; Change of foreign policy course; Change of internal political situation; Creation of "enemy" in order to gain population support.

Within the Instrumentalist theoretical framework the survey will attempt to study the main determinants, which change the image of Russia in the rhetoric of the Georgian elites.

# ს ა რ ჩ ე ვ ი


შესავალი ..... 5

1. თეორიული ჩარჩო ..... 11

1.1 ინსტრუმენტალიზმი ..... 11

1.2 კვლევის მეთოდები ..... 12

2. ლიტერატურის მიმოხილვა ..... 15

რუსეთი ქართული პოლიტიკური ელიტების რიტორიკაში 1990-2016-იან წლებში ..... 21

3. ზვიად გამსახურდიას მმართველობა ..... 22

3.1 საქართველო დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე ..... 22

3.2 ზვიად გამსახურდიას რიტორიკა ..... 25

4. ედუარდ შევარდნაძის მმართველობა ..... 32

5. მიხეილ სააკაშვილის მმართველობა ..... 41

6. გიორგი მარგველაშვილის და კოალიცია „ქართული ოცნების“ მმართველობა ..... 51

დასკვნა ..... 60

გამოყენებული ლიტერატურა ..... 63

# შესავალი

ნაშრომის მიზანია შეისწავლოს ქართული პოლიტიკური ელიტების რიტორიკის ცვლილება რუსეთის ფედერაციის მიმართ 1990 წლიდან 2016 წლის ჩათვლით. საინტერესოდ მიგვაჩნია იმის კვლევა და ანალიზი, თუ რა ფაქტორები განაპირობებდა ჩრდილოელი მეზობლისადმი დამოკიდებულებისა და პოლიტიკის ტრანსფორმაციას დამოუკიდებელი საქართველოს სხვადასხვა ხელისუფლების მმართველობის პერიოდებში. აქედან გამომდინარე, მოცემულ კვლევაში წარმოდგენილი იქნება ზემოთ დასახელებული პერიოდების შედარებითი ანალიზი.

დღესდღეობით საქართველო–რუსეთის ურთიერთობები აქტიური განხილვის საგანს წარმოადგენს, როგორც სამეცნიერო ისე არასამეცნიერო წრეებში. საკითხისადმი ინტერესს აძლიერებს ის ფაქტიც, რომ რუსეთი და მისი ხელმძღვანელობა, რომელიც დღემდე ვერ შეგუებია ყოფილ სოციალისტურ სივრცეში თავისი გავლენისა და ძალაუფლების დაკარგვის ფაქტს და რომლისთვისაც საბჭოთა კავშირის დაშლა მე–20 საუკუნის ყველაზე ტრაგიკულ მოვლენას წარმოადგენს, ყველანაირი მექანიზმებით ცდილობს სამეზობლოში მთავარ ძალად დაიმკვიდროს თავი (Putin, 2005). დაკარგული ძალაუფლების აღდგენისათვის გამართულ ბრძოლაში რუსეთის მთავარ სამიზნედ, ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო საქართველო გვევლინება. შესაბამისად საქართველოს, როგორც პატარა და ამავე დროს სუსტი სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებას მთავარ საგარეო საფრთხესა და გამოწვევას სწორედ მეზობელის ნეოიმპერიალისტური პოლიტიკა უქმნის (რონდელი, 2013, 3).

მოცემული ნაშრომი წარმოადგენს დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ელიტების რიტორიკის ცვლილების გამომწვევი ფაქტორების ანალიზის მცდელობას. კვლევა ეყრდნობა რა ნაციონალიზმის ელიტისტურ თეორიას, კერძოდ კი- ინსტრუმენტალიზმს მიგვაჩნია, რომ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება და წარმოდგენები რუსეთის ფედერაციის მიმართ ფორმირდებოდა ზემოდან ქვემოთ. სხვადასხვა პერიოდებში ჩრდილოელი მეზობლისადმი მიმართული დადებითი ან

უარყოფითი რიტორიკა, წარმოადგენდა ძლიერ იარაღს პოლიტიკური ელიტების ხელში მასების მობილიზაციისა და პოლიტიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლაში.

თუმცა, ვიდრე უშუალოდ ოფიციალური რიტორიკის ცვლილების გამომწვევი ფაქტორების განხილვაზე გადავიდოდეთ, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმ ფაქტის ხაზგასმა, რომ რუსეთისადმი მიმართული რიტორიკა ცვლილებებს განიცდიდა არა მხოლოდ სხვადასხვა პოლიტიკური ელიტის მმართველობის ეპოქაში, არამედ ერთი და იმავე ხელისუფლების მმართველობის პერიოდებშიც. ამ მხრივ კი ყურადღების ღირსია საქართველოს მეორე და მესამე პრეზიდენტების, შესაბამისად ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის ცვალებადი პოლიტიკა. ქვეყნის სათავეში მოსვლისას ორივე ლიდერის მთავარ მიზანს მეზობელ რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების დალაგება და მეგობრული დამოკიდებულების ჩამოყალიბება წარმოადგენდა, მაგრამ ფაქტია, რომ ორივე მათგანის დადებითი დამოკიდებულება და რიტორიკა გარკვეულ ეტაპზე რადიკალურად შეიცვალა. შესაბამისად, ჩვენთვის საინტერესოა თუ რა ფაქტორებმა გამოიწვია ქვეყნის პირველი პირების რიტორიკის საპირისპირო მიმართულებით შემობრუნება; რატომ მოხდა, რომ მეზობელი, რომელთანაც ურთიერთობების დალაგება ქვეყნისათვის ერთ–ერთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა, საბოლოოდ საქართველოსათვის უმთავრეს დაბრკოლებად იქცა დამოუკიდებელი განვითარებისაკენ მიმავალ გზაზე.

მოცემული კვლევის ფარგლებში ასევე საინტერესო და მნიშვნელოვანია გაანალიზება იმისა, თუ როგორ იცვლებოდა რუსეთის ფედერაციის სახე საქართველოს მოსახლეობის წარმოდგენებში პოლიტიკური ელიტების რიტორიკის გავლენის შედეგად. კერძოდ კი, ჩვენს ინტერესს იწვევს ის ფაქტი, თუ როგორ გადაიქცა ერთმორწმუნე მოკავშირე ოკუპანტად, რომელმაც საერთაშორისო სამართლის პრინციპები ფეხქვეშ გათელა, ძალისმიერი გზით დაარღვია საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიული მთლიანობა და ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის ოკუპაცია განახორციელა. რუსეთის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების ცვლილების კვლევის მიზნით ნაშრომში გამოყენებული იქნება საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები 2008 წლიდან 2016 წლამდე. მოსახლეობის დამოკიდებულებების ცვლილებების ანალიზისათვის გამოვიყენებთ

კავკასიის ბარომეტრის მიერ საქართველოში ჩატარებული ყოველწლიური კვლევის შედეგებს და ასევე განვიხილავთ ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს.

წინამდებარე კვლევას ორი ***საკვლევი კითხვა*** გააჩნია:

რა ფაქტორებმა განაპირობა ქართული პოლიტიკური ელიტების რიტორიკის ცვლილება რუსეთის ფედერაციის მიმართ და რამდენად ახდენდა აღნიშნული რიტორიკა გავლენას საზოგადოების მობილიზაციაზე?

***დამოკიდებული ცვლადი/ცვლადები:*** ქართული პოლიტიკური ელიტების რიტორიკის ცვლილება და საზოგადოების მობილიზაცია რუსეთის, როგორც მტრის წინააღმდეგ.

***დამოუკიდებელი ცვლადი/ცვლადები:*** ხელისუფლების ცვლილება; საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილება; შიდა პოლიტიკური ვითარების ცვლილება; საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვების საჭიროება „მტრის ხატის“ შექმნის გზით.

კვლევა მიიჩნევს, რომ ქართული პოლიტიკური ელიტების რიტორიკის ცვლილება რუსეთის მიმართ განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით – ხელისუფლების ცვლილებით, საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილებით, ქვეყანაში შიდა პოლიტიკური ვითარების ცვლილებითა და მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვების საჭიროებით.

ჰიპოთეზის შემოწმების მიზნით ნაშრომში განვიხილავთ საქართველოს ოთხი პრეზიდენტის მმართველობას, კერძოდ ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძის, მიხეილ სააკაშვილისა და გიორგი მარგველაშვილის მმართველობის პერიოდებს. სწორედ აღნიშნული ქეისების შესწავლა და ანალიზი დაგვეხმარება დავადგინოთ, თუ როგორ ტრანსფორმირდებოდა ქართული პოლიტიკური ელიტების დამოკიდებულება რუსეთისადმი საბჭოთა კავშირისაგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. შესამაბისად ნაშრომის საკლევი პერიოდი ვრცელდება 1990 წლიდან 2016 წლამდე.

მოცემული ნაშრომის თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს ნაციონალიზმის ელიტისტური თეორია – ინსტრუმენტალიზმი. სწორედ ინსტრუმენტალიზმის ჩარჩოში გავაანალიზებთ 1990 წლიდან 2016 წლამდე საქართველოს პოლიტიკური ელიტების პირველი პირების რიტორიკის ცვლილების გამომწვევ მიზეზებს.

## *ტერმინების განმარტება*

მნიშვნელოვანია მოვემულ ნაშრომში გამოყენებული ძირითადი ტერმინების ოპერაციონალიზაცია, რაც მკითხველისათვის ნათელს გახდის კონკრეტულად როგორ და რა მნიშვნელობითაა გამოყენებული თითოეული მათგანი კვლევის ფარგლებში.

***<u>პოლიტიკური ელიტა</u>*** - მცირერიცხოვანი სოციალური ჯგუფი, რომლის წარმომადგენლებსაც უკავით პრივილეგირებული და წამყვანი პოზიციები საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა პოლიტიკა, თავდაცვა, ეკონომიკა, და ა.შ.. (სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, 2004, 77).

პოლიტიკური ელიტების განმარტებას გვთავაზობენ ელიტების თეორიის ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები, როგორებიც გაეტანო მოსკა და ვილფრედო პარეტო არიან. მოსკას თანახმად, პოლიტიკური ელიტა წარმოადგენს მცირერიცხოვან მმართველ კლასს, რომელიც წარმართავს პოლიტიკურ პროცესებს, ფლობს მონოპოლიას ძალაუფლებაზე და სარგებლობს მთელი რიგი უპირატესობებით, რაც აღნიშნულ ძალაუფლებას ახლავს თან (Mosca, 1939, 50).

პარეტოს თვალსაზრისით, ელიტა წარმოადგენს იმ ადამინების ერთობლიობას, რომელთაც უმაღლესი უნარი გამოავლინეს თავიანთი მოღვაწეობის სფეროში და ამის შედეგად სხვებისაგან განსხვავებული ადგილი უჭირავთ საზოგადოებაში. პარეტო ელიტას ორ კლასად – მმართველ ელიტად და არამმართველ ელიტად ყოფს და მიაჩნია, რომ სწორედ მმართველი ელიტა ახორციელებს ხელისუფლებას და პირდაპირი თუ ირიბი გზებით ზემოქმედებს საზოგადოების დარჩენილ ნაწილზე, რომელიც მართულ კლასად მიიჩნევა (Pareto, 1935, 1423-1424).

***<u>საგარეო პოლიტიკური კურსი</u>*** - ვგულისხმობთ მმართველი პოლიტიკურ ელიტების მიერ არჩეულ საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციას. მოცემული კვლევის ფარგლებში – რუსეთის მეთაურობით შექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) გაწევრიანება და პრო–დასავლური კურსი, ევროპულ და ევრო–ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია.

***<u>რიტორიკა</u>*** – სიმბოლიზმისა და ენის გამოყენება შეტყობინების ისეთი კოდირების უზუნველსაყოფად, რაც ესაჭიროება კომუნიკაციის შემქმნელს (მაცაბერიძე 2014, 7). არისტოტელეს (1987) თანახმად, რიტორიკის მთავარ მიზანს დარწმუნება წარმოადგენს, სწორედ ამიტომ აუცილებელია ორატორის მიერ წარმოთქმული სიტყვა დასაბუთებული და დამაჯერებელი იყოს (გვ.139).

რიტორიკის მთავარი საზრუნავი არ არის სისწორის დადგენა, მისი მიზანია დაადგინოს რაიმე როგორც აუცილებელი. *„იგი იმდენად სიტყვის სიმართლეს არ იკვლევს, რამდენადაც იმას, რომ სიტყვა ვინმეს არ ახარებდეს ან არ აწუხებდეს... სიტყვით ბევრი რამის მიღწევა შეიძლება მსმენელთა დაბალი დონის გამო "* (არისტოტელე, 1987, 166). მსმენელზე ზემოქმედების მოსახდენად აუცილებელია ორატორმა წარმოთქვას ზომიერი სიტყვა, სადაც შერეული იქნება ჩვეულებრივი და უჩვეულო გამოთქმები, იქნება რითმი, დამაჯერებლობა და რაც მთავარია ორატორი ისაუბრებს პათოსით. აღნიშნულ შემთხვევაში მომხსენებლის სიტყვა სარწმუნოდ მოჩანს, შედეგად ადამიანის სული ტყუვდება და იჯერებს. საქმე ისეც, რომ არ იყოს როგორც სიტყვაშია გაცხადებული მსმენელს მაინც ჰგონია, რომ სინამდვილეში აუცილებლად ასე იქნება (გვ. 178–195).

აღსანიშნავია, რომ რიტორიკა ცენტრალურ როლს თამაშობს თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში, იქ სადაც ლიდერები ქვეყნის სათავეში ხალხის არჩევანის შედეგად მოდიან. სუვერენულ სახელმწიფოებში ძალაუფლების შესანარჩუნებლად საჭიროა მოსახლეობის მუდმივი დარწმუნება მხარდაჭერის მოპოვების მიზნით, სწორედ ამიტომ დღესდღეობით რიტორიკა პოლიტიკოსებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს (Kane & Patapan, 2010, 372).

# 1. თეორიული ჩარჩო

## 1.1 ინსტრუმენტალიზმი

ნაშრომისათვის შეირჩა ნაციონალიზმის ელიტისტური თეორია, კერძოდ კი ინსტრუმენტალიზმი, რომლის ფუძემდებლადაც პოლ ბრასი გვევლინება. აღნიშნული თეორიის თანახმად, ეთნიკური და ნაციონალური იდენტობა წარმოადგენს ძალზედ მოსახერხებელ პოლიტიკურ ინსტრუმენტს დაპირისპირებული ელიტარული ჯგუფების ხელში მასების მხარდაჭერისა და ძალაუფლების მოსაპოვებლად. პრიმორდიალისტებისაგან განსხვავებით, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ეთნიკურობა წინასწარგანსაზღვრული ფენომენია, ინსტრუმენტალისტები აცხადებენ, რომ ეთნიკური და ნაციონალური კუთვნილება ხელახლა ფორმირდება და განისაზღვრება პოლიტიკური ელიტების მანიპულირების შედეგად (დავითაშვილი, 2003, 110).

ბრასი მიიჩნევს, რომ ეთნიკურობა და ნაციონალიზმი არ არის თავისთავად მოცემული და ისინი წარმოადგენენ ელიტების მიერ შექმნილ სოციალურ და პოლიტიკურ კონსტრუქციებს. თეორიის თანახმად, პოლიტიკური ელიტა თავად, საკუთარი სურვილისამებრ ირჩევს კულტურის გარკვეულ ასპექტებს და ანიჭებს მათ მნიშვნელობას, შესაძლებელია შექმნას სრულიად ახალი ან ფაბრიკაცია გაუკეთოს ძველს, შემდეგ კი იყენებს მათ საზოგადოების მობილიზაციისათვის, რათა ამით უზრუნველყოს საკუთარი გავლენისა და ძალაუფლების შენარჩუნება (Brass, 1991, 8).

აღსანიშნავია, რომ მასების მობილიზაცისათვის აუცილებელია პოლიტიკურ ელიტას შეეძლოს მოსახლეობასთან სიმბოლოებით ურთიერთობა. ამასთანავე არ უნდა არსებობდეს მკვეთრი კლასობრივი განსხვავება და სხვა კომუნიკაციური სირთულეები მმართველ ელიტებსა და სხვა სოციალურ ჯგუფებს შორის. როგორც პოლ ბრასი აღნიშნავს, კომუნიკაციების განვითარებაში მთავარი როლი განათლებას, წერა–კითხვის ცოდნის დონესა და მასმედიას, პირველ რიგში კი - გაზეთებს ენიჭება. კომუნიკაციური მობილობის მაღალი დონის მისაღწევად კი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა შემდეგი პირობები: 1. როდესაც ადგილობრივ რელიგიურ ელიტას ეკუთვნის ეკლესია-

მონასტრები, აგრეთვე მათსავე საკუთრებაში არსებული მიწები და რელიგიური სკოლები; 2.როდესაც ადგილობრივი ენა სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მიჩნეულია განათლებისა და ადმინისტრაციის ენად, რაც უზრუნველყოს ადგილობრივ ელიტას სამუშაოთი და მოღვაწეობის შესაძლებლობით (დავითაშვილი, 2003, 112).

ინსტრუმენტალისტური მიდგომა თავის წიგნში ასევე განხილული აქვს ლოუელ ბარინგტონს, რომლის თანახმადაც ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტები, როგორებიცაა კულტურული მახასიათებლები და გავრცელებული შეხედულება ტერიტორიის კონტროლის კანონიერ უფლებაზე – ელიტების მიერ არის „კონსტრუირებული“. ბარინგტონი აცხადებს, რომ ეროვნული იდნეტობის აღნიშნული მახასიათებლების „კონსტრუირება“ არ ხდება ჰაერზე. ისეთი კულტურული მახასიათებლები, როგორებიცაა ენა, რელიგია და ისტორიული მოვლენები, ელიტებს ძალზედ ნოყიერ ნიადაგს უმზადებენ ერის გაერთინებისა და ტერიტორიის კონტროლთან დაკავშირებული არგუმენტების ჩამოყალიბებაში. თუმცა, ბარინგტონი აქვე აღნიშნავს, რომ ელიტების როლის მნიშვნელობამ ეროვნული იდენტობის გავითარების პროცესში, არ უნდა დაჩრდილოს მოსახლეობის მახასიათებელების, ისტორიული მოვლენებისა და მიმიდნარე მოვლენების გავლენა (Barrington, 2006,13-14).

ჩვენს კველვაში აღნიშნული თეორიის საშუალებით ვცდილობთ გამოვიკვლიოთ და ავხსნათ ქართული პოლიტიკური ელიტების რიტორიკის ცვლილება სხვადასხვა პერიოდებში და ის ფაქტი, თუ როგორ ახერხებდა პოლიტიკური ელიტა მოსახლეობის მობილიზაციას ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით.

## 1.2 კვლევის მეთოდები

ნაშრომის მეთოდოლოგიურ ჩარჩოდ გამოყენებული იქნება კვლევის თვისებრივი მეთოდები, რადგან კვლევა მოითხოვს სხვადასხვა წყაროების სიღრმისეულ შესწავლასა და ანალიზს. სწორედ აღნიშნული მეთოდის საშუალებით ყალიბდება და შემდგომ ვითარდება კვლევაში ჩამოყალიბებული ლოგიკური კავშირი. თვისებრივი მეთოდების

უპირატესობა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მხოლოდ ეს მეთოდები გვაძლევს საშუალებას შევისწავლოთ და ავხსნათ ამა თუ იმ მოვლენის მიზეზები და პასუხი გავცეთ ისეთ კითხვებს, როგორებიცაა „რატომ?“ და „როგორ?“ (ზურაბიშვილი, 2006, 6-7).

ჩვენს უშუალო საკვლევ საგანს წარმოადგენს ქართული პოლიტიკური ელიტების რიტორიკა რუსეთის ფედერაციის მიმართ 1990 წლიდან 2016 წლის ჩათვლით. ნაშრომში განვითარებული ჰიპოთეზის დასამტკიცებლად, მოცემული კვლევის ჩარჩოში გამოვიყენებთ ე.წ. „შემთხვევის შესწავლის“ მეთოდს (Case Study), რომელიც დღესდღეობით წარმოადგენს ყველაზე გავრცელებულ კვლევის მეთოდს ფსიქოლოგიაში, სოციოლოგიაში, პოლიტიკურ მეცნიერებაში, ანთროპოლოგიაში, სოციალურ მუშაობასა და სხვა სფეროებში.

სხვა კვლევის მეთოდებისაგან გასხვავებით Case study საშუალებას გვაძლევს სიღმისეულად შევისწავლოთ ისეთი კომპლექსური სოციალური მოვლენები, როგორებიცაა პატარა ჯგუფების ქმედებები, საერთაშორისო ურთიერთობები, ორგანიზაციული და ადმინისტრაციული პროცესები და ა.შ.. აღნიშნული მეთოდის უპირატესობას წარმოადგნეს ისიც, რომ კვლევის დროს საშუალება გვეძლევა დეტალურად გავეცნოთ დიდი რაოდენობით ფაქტებსა და მტკიცებულებებს, კერძოდ - დოკუმენტებს, არტიფაქტებს, ინტერვიუებსა და დაკვირვებების შედეგად მიღებულ მონაცემებს (Yin, 2009, 4-11).

კვლევისათვის შევარჩიეთ ოთხი შემთხვევა: ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდი (1990-1992 წლები), ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდი (1993-2003 წლები.), მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდი (2003-2013 წლები) და გიორგი მარგველაშვილის მმართველობის პერიოდი (2013 წლიდან-დღემდე). სწორედ აღნიშნული ქეისების შესწავლის საფუძველზე ვეცდებით დავადგინოთ ქართული პოლიტიკური ელიტების რიტორიკის ცვლილების გამომწვევი მიზეზები. იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ნაშრომის მიზანია საქართველოს ოთხი ხელისუფლების მმართველობის შედარება კვლევაში გამოყენებული იქნება შედარებითი Case study-ს მეთოდი.

გამომდინარე იქიდან, რომ კვლევის ძირითად მიზანს პოლიტიკური ელიტების რიტორიკის შესწავლა წარმოადგენს, საჭირო გახდა ქვეყნის პირველი პირების ინტერვიუების, შეხვედრების, საგაზეთო სტატიებისა და საჯარო გამოსვლების ტექსტების, მათ შორის საინაუგურაციო სიტყვების შესწავლა თვისებრივი კონტენტ-ანალიზის საშუალებით. ნაშრომში თვისებრივი კონტენტ-ანალიზის გამოყენება საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ ტექსტები და მათი ანალიზის საფუძველზე გამოვიტანოთ დასკვნები შეტყობინების გამგზავნის, შეტყობინების მიზეზებისა და წანამძღვრების შესახებ (ფრანკფორტ-ნაჩმიასი & ნაჩმიასი, 2009, 455-458).

ზემოხსენებული მეთოდების გარდა ნაშრომში ასევე აქტიურად იქნება გამოყენებული რიტორიკის ანალიზის მეთოდი, რომლის საშუალებითაც შევეცდებით იმ სიგნალების იდენტიფიცირებას, რომელთაც პოლიტიკური ელიტების წარმომადგენლები გზავნიდნენ მოსახლეობაში მათზე გავლენის მოხდენის მიზნით. ვოლიმანის თანახმად, რიტორიკა ეს არის ენისა და არგუმენტების იმგვარად გამოყენება, რომლის დროსაც ორატორი ცდილობს დაარწმუნოს მსმენელი ან მკითხველი თავის ჭეშმარიტებაში. მაგალითად, პოლიტიკოსები ხშირად ქმნიან წარმოდგენას, რომ მოსახლეობას მათი უნდა სჯეროდეს, აღნიშნული რწმენის გასაძლიერებლად კი აქტიურად მიმართავენ წერილობით ან ზეპირ კომუნიკაციას– ცხადად ახდენენ რიტორიკის დემონსტრაციას. რიტორიკის ანალიზი, როგორც მეთოდი ხსნის იმ ხერხებს, რომლებიც აღნიშნული კომუნიკაციის დროს გამოიყენება და ახდენს იმ სიგნალებისა და შეტყობინებების იდენტიფიცირებას, რომელთა გაგზავნასაც ცდილობს მომხსნებელი და რომლებიც ადასტურებენ მის „ჭეშმარიტებასა“ და სხვების „სიმცდარეს“ (Walliman, 2011, 141-142).

სწორედ აღნიშნული მეთოდების საშუალებით შევეცდებით დავადგინოთ რუსეთის ფედერაციის მიმართ ქართული პოლიტიკური ელიტების რიტორიკის ცვლილებების გამომწვევი ძირითადი მიზეზები. კვლევაში განვიხილავთ მოცემულ საკითხზე მომუშავე ექსპერტებისა და მეცნიერების ნაშრომებს, პოლიტიკური ელიტების პირველი პირების საჯარო განცხადებებსა და გაზეთებში („საქართველოს რესპუბლიკა“ „ქართული აზრი“, „აღდგომა“ და ა.შ..) გამოქვეყნებულ ინტერვიუებს.

# 2. ლიტერატურის მიმოხილვა

საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე საკმაოდ ბევრი ნაშრომია შექმნილი როგორც ქართველი, ისე არაქართველი მეცნიერებისა და ექსპერტების მიერ. თუმცა ჩვენს კვლევაში მხოლოდ რამდენიმე მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ნაშრომის შექმნაში.

გვსურს ავღნიშნოთ, რომ ქვემოთ განხილული წყაროების საფუძველზე დავადგინეთ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მმართველი ელიტების პირად აღქმებსა და მოლოდინებს რუსეთის მიმართ რიტორიკის ცვლილებაში. ასევე დადასტურდა, რომ ჩრდილოელი მეზობლისადმი დამოკიდებულება და ქმედებები ქვეყანაში არსებული შიდა პოლიტიკური ვითარების გამოძახილია და რომ რიტორიკა წარმოადგენს ძლიერ იარაღს ხელისუფლების ხელში ძალაუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში.

საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობების ისტორიაზე საუბრობს სტივენ ჯონსი თავის წიგნში „საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“ (ჯონსი, 2013). წიგნში დეტალურად არის გადმოცემული საქართველოს სამი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის პერიოდებში საქართველოს ურთიერთობა მეზობელ რუსეთის ფედერაციასთან და აღნიშნული ურთიერთობის თავისებურებები. ნაშრომში ჯონსი ასევე განიხილავს საქართველოში არსებულ შიდა პოლიტიკურ ვითარებას და ქვეყნის პირველი პირების გავლენას საგარეო პოლიტიკაზე. ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე აღნიშნული წიგნი კვლევისათვის საჭირო ფაქტებით მდიდარი აღმოჩნდა და მნიშვნელოვანი საფუძველი შეგვიქმნა ქართული ელიტების ცვალდებადი რიტორიკის გაანალიზების პროცესში.

საქართველო-რუსეთის, როგორც დიდი მეზობლისა და პატარა ქვეყნის ურთიერთობების დინამიკა კარგად აქვს აღწერილი ალექსანდრე რონდელს წიგნში „პატარა ქვეყანა საერთაშორისო ურთიერობებში“(რონდელი, 2009). კვლევისათვის

განსაკუთრებული მნიშვნელობის აღმოჩნდა წიგნის ბოლო თავი, სადაც ედუარდ შევარდანძის მიერ გატარებული პრაგმატული საგარეო პოლიტიკაა აღწერილი. ნაშრომში რონდელი ასევე საუბრობს ქვეყანაში მიმდინარე შიდა პროცესებზე, როგორც საგარეო ორიენტაციაზე გავლენის მომხდენ ფაქტორებზე. ასევე ავითარებს დასკვნას, რომლის თანახმადაც საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში გადამწყვეტ როლს პოლიტიკური ელიტა, განსაკუთრებით კი ცალკეული პიროვნებები ასრულებენ. ყოველივე ეს ეხმიანება ნაშრომში განვითარებულ ჩვენს მოსაზრებებს რიტორიკის ცვლილებასთან დაკავშირებით.

ნაშრომისათვის საინტერესო აღმოჩნდა გია ნოდიას (Nodia, 2013) ნაშრომი, სადაც ავტორი საუბრობს ქართულ-რუსული ურთიერთობების ხასიათსა და ქართული პოლიტიკური ელიტების რიტორიკის ცვალებადობაზე. განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ნოდია რიტორიკის ცვლილებას განიხილავს, როგორც ხელისუფლების ცვლილების თანმდევ პროცესს, რაც ამყარებს ჩვენს მოსაზრებას რიტორიკის ცვლილებასთან დაკავშირებით. ავტორის განცხადებით ყოველი ახალი მთავრობა ცდილობს რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებას, რაც მათ რიტორიკაშიც ჰპოვებს ასახვას. ნაშრომში ასევე ხაზგასმულია ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომლის თანახმადაც ყოველი ახალი ლიდერი წინა ხელისუფლებას ადანაშაულებს უხეშ და უსარგებლო ანტი-რუსულ რიტორიკაში და ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობების დალაგებას საკუთარ მოღვაწეობას უკავშირებს.

საქართველო–რუსეთის ურთიერთობებს აანალიზებს რონალდ გრეგორი სუნი წიგნში „ქართველი ერის ჩამოყალიბება“. ნაშრომისათვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ სუნი ეხება ედუარდ შევარდნაძის მმართველობის დასაწყისში საქართველოში არსებულ კრიზისულ ვითარებას და მის გადაწყვეტილებას ელცინის რუსეთის დომინირებით შექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს გაწევრიანების თაობაზე. ნაშრომში განვითარებულია ჩვენი ჰიპოთეზის მსგავსი მოსაზრება, რომლის თანახმადაც შევარდნაძის აღნიშნული გადაწყვეტილება რუსეთის მხრიდან იძულების შედეგს წარმოადგენდა და ქვეყანაში შევარდნაძის პოზიციების გამყარებას ემსახურებოდა. მართლაც, თუკი დსთ-ში გაწევრიანებაზე თანხმობის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს გადავავლებთ თვალს დავინახავთ,

რომ რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლამ დაპირისპირებული ძალები დააბალანსა და უზრუნველყო შევარდნაძის შემდგომი გამარჯვება (Suny, 1994).

ნაშრომის შექმნაში დიდი წვლილი შეიტანა ედუარდ შევარდნაძის ერთ წიგნად შეკრულმა მემუარებმა სახელწოდებით „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“ (შევარდნაძე, 2006). აღნიშნულმა ნაშრომმა მართლაც, რომ უნიკალური შესაძლებლობა მოგვცა უშუალოდ შევარდნაძის თვალით დაგვენახა იმ პერიოდის საქართველოში არსებული შიდა პოლიტიკური ვითარება. კვლევისათვის განსაკუთრებული მნიშნველობისაა ის ეპიზოდები, სადაც შევარდნაძე „ორი რუსეთის“ – ელცინის დემოკრატიული რუსეთისა და ავტორიტარული რუსეთის არსებობის ფაქტებზე საუბრობს. ნაშრომი ასევე მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამგობრობაში გაწევრიანების თაობაზე, რაც საშუალებას გვაძლევს გამოვიკვლიოთ ის რეალური მიზეზები, რამაც შევარდნაძე აიძულა დსთ–ში შესვლას დათანხმებოდა. გვსურს ავღნიშნოთ, რომ მემუარებმა განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ჩვენს მიერ განხილულ პირველად წყაროებში, რადგან მასში განხილულია ქვეყნის პირველი პირისა და საგარეო პოლიტიკის მთავარი აღმასრულებლის პირადი აღქმები, რომელთა ანალიზის საშუალებითაც შესაძლებლობა გვაქვს ავხსნათ მისი გადაწყვეტილებები და ცვალებადი რიტორიკა ჩრდილოელი მეზობლის მიმართ.

რუსეთ–საქართველოს ურთიერთობებსა და საქართველოს მოსახლეობაში რუსეთის ცვალებადი იმიჯის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ნინო ჩიქოვანისა და ქეთევან კაკიტელაშვილის სტატია სახელწოდებით – „მერყევი მეხსიერება: „უფროსი ძმისა“ და „აგრესორის“ ცვლადი იმიჯი“(Chikovani & Kakitelashvili, 2015). ნაშრომში განხილულია თუ როგორ ტრანსფორმირდებოდა რუსეთისა და რუსი ხალხის იმიჯი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში. ავტორების თანახმად, რუსეთის სახე ყოველთვის არაერთგვაროვანი და წინააღმდეგობრივი იყო ქართველი ხალხის წარმოდგენაში. კერძოდ აღსანიშნავია, ის ფაქტი რომ მრავალი წლის განმავლობაში საქართველოში ერთდროულად თანაარსებობდა რუსეთის ორი იმიჯი – რუსეთი, როგორც „პოტენციური მფარველი“ და რუსეთი, როგორც „აგრესორი“, რომელიც უხეშად ერეოდა საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. მოცემულ ნაშრომში

ასევე განხილულია თუ რა ცვლილებას განიცდიდა რუსეთის მიმართ რიტორიკა გამსახურდიას, შევარდნაძის, სააკაშვილისა და კოალიცია „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდებში. ყოველივე ხსენებულიდან გამომდინარე, აღნიშნული სტატია მნიშვნელოვან საფუძველს გვიქმნის რუსეთისადმი რიტორიკის ცვლილების გამომწვევი მიზეზების გაანალიზებაში.

ასევე საინტერესოა ვასიფ ჰუსეინოვის ნაშრომი, სადაც ავტორი საუბრობს საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და მმართველი პირების რიტორიკის ცვლილებაზე რუსეთის ფედერაციის მიმართ. სტატიაში გავითარებული მოსაზრების თანახმად, რუსეთის ფედერაციის მიმართ პოლიტიკური ელიტების რიტორიკა იცვლება ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად, რაც თანხვედრაშია ჩვენს ნაშრომში განვითარებულ ჰიპოთეზასთან (Huseynov, 2015).

ანალოგიურ მოსაზრებას ვხვდებით იუჯინ კოგანის ნაშრომში, სადაც განხილულია ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით ახალი პოლიტიკური ელიტის – კოალიცია „ქართული ოცნების“ ხელისუფლების სათავეში მოსვლით შეცვლილი ოფიციალური რიტორიკა ჩრდილოელი მეზობლის მიმართ. ავტორი ბიძინა ივანიშვილის საგარეო პოლიტიკას „ორმაგ პოლიტიკად“ მოიხსენიებს, რადგან ქართული პოლიტიკური ელიტა კვალავაც ისწრაფვის ევროპულ და ევრო–ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისაკენ, მაგრამ ამავე დროს რუსეთთან ურთიერთობების გამოსწორებას ისახავს მთავარ მიზნად (Kogan, 2013).

რუსეთ–საქართველოს ურთიერთობების თავისებურებები საქართველოს ოთხი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში ასევე გაანალიზებულია კორნელი კაკაჩიასა და სალომე მინესაშვილის ნაშრომში (Kakachia & Minesashvili, 2015). ჩვენი კვლევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მონაკვეთი, სადაც აღწერილია, თუ როგორ ყალიბდებოდა მიხეილ სააკაშვილის მიერ რუსეთის, როგორც „ბოროტი ძალის“ სურათი ქართულ საზოგადოებაში, რომლისთვისაც ყოვლად მიუღებელი იყო საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს არსებობა. ნაშრომში კარგად არის ნჩვენები, თუ როგორ ინერგებოდა მოსახლეობაში რწმენა, იმის შესახებ, რომ რუსული

გავლენა საქართველოში წარმოადგენდა მნიშვნელოვან დაბრკოლებას ევროპაში ინტეგრაციისაკენ მიმავალ გზაზე.

საქართველოში არსებულ შიდა პოლიტიკურ ვითარებაზე მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის თომას დე ვაალის წიგნი სახელწოდებით „კავკასია - შესავალი“. ავტორი დეტალურად აანალიზებს საქართველოს სამი პრეზიდენტის მმართველობას, თუმცა კველვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის აღმოჩნდა ის ნაწილი, სადაც საუბარია მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდსა და მის პერსონალურ როლზე რუსეთის ფედერაციასთან დადებითი თუ უარყოფითი ურთიერთობებისა და რიტორიკის ჩამოყალიბებაში ( Waal, 2010).

საბჭოთა კავშირისაგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველო–რუსეთის ურთიერთობებზე საუბრობს იან ბრემერი, თავის ნაშრომში „პოსტ–საბჭოთა ერები დამოუკიდებლობის შემდგომ“. კვლევისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ავტორის ხაზგსამა იმის თაობაზე, რომ საქართველოს დასავლეთისაკენ აღებულმა საგარეო პოლიტიკურმა კურსმა გამოიწვია რუსეთის „სადამსჯელო“ ქმედებები ქვეყნის წინააღმდეგ, რამაც შემდგომში მნიშვნელოვნად განაპირობა ქართველი პოლიტიკური ელიტების დამოკიდებულება და რიტორიკა ჩრდილოელი მეზობლის მიმართ (Bremmer, 2006).

ის ფაქტი, რომ პოლიტიკური ელიტები განსაზღვრავენ ქვეყნის საგარეო პოლიტიკასა და პრიორიტეტებს ნათლად ჩანს სტივენ ჯონსისა და ლევან კახიშვილის ნაშრომშიც. ავტორები ავითარებენ ჩვენი კვლევისათვის ნაცნობ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ბოლოს 20 წლის განმავლობაში საქართველოს საგარეო პოლიტიკის ფუნდამენტურ დეტერმინანტებს საშინაო ფაქტორები წარმოადგენდნენ, კერძოდ კი – ერთი პიროვნების დომინანტური მმართველობა. ნაშრომის თანახმად საქართველოს პრეზიდენტები სრულად აკონტროლებდნენ საგარეო პოლიტიკას, რაც მნიშვნელოვან საფუძველს ქმნიდა პოპულიზმის განვითარებისა და მისი ძლიერ პოლიტიკურ იარაღად გამოყენებისათვის (Jones & Kakhishvili, 2013).

ნაშრომისათვის საინტერესო აღმოჩნდა გიორგი ხელაშვილის (Khelashvili, 2011) სტატია, სადაც განხილულია თუ რა გავლენას ახდენდა მიხეილ სააკაშვილის ანტი–

რუსული რიტორიკა საზოგადოების განწობაზე. ავტორის თვალსაზრისით რუსეთის, როგორც „მტრის ხატის“ შექმნა და მოსახლეობის მასობრივი მობილიზაცია წარმოადგენდა ერთ–ერთ ძირითად პოლიტიკურ ინსტრუმენტს სააკაშვილის ხელში ძალაუფლების შენაჩუნებისათვის ბრძოლაში. ხელაშვილის აღნიშნული მოსაზრება მნიშვნელოვნად ამყარებს ჩვენს ნაშრომში განვითარებულ ჰიპოთეზას.

მოცემულ თავში განხილულმა ლიტერატურამ გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნა საკვლევი თემის შესახებ, თუცმა მიგვაჩნია, რომ ობიექტური ანალიზისთვის აუცილებელია ცნობილი მკვლევარების მოსაზრებებთან ერთად განვიხილოთ პირველადი წყაროები, კერძოდ კი – პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები, ქვეყნის პირველი პირების მიერ პარლამენტის წინაშე წარმოთქმული ყოველწლიური ანგარიშები, გაზეთებში გამოქვეყნებული ინტერვიუები, საჯარო გამოსვლების ტექსტები და ა.შ.. 2013 წელს საქართველოში განხორციელებული კონსტიტუციური ცვლილების გათვალისწინებით კი, ნაშრომში ასევე გაანალიზებული იქნება პრემიერ–მინისტრების გამოსვლები და განცხადებები. მიგვაჩნია, რომ სწორედ პირველადი წყაროები და მათი სიღრმისეული ანალიზი დაგვეხმარება ჩამოვაყალიბოთ მთავარი არგუმენტები.

# რუსეთი ქართული პოლიტიკური ელიტების რიტორიკაში 1990-2016-იან წლებში

რუსეთის ფედერაციის მიმართ ქართული პოლიტიკური ელიტების რიტორიკის ცვლილებისა და მასზე გავლენის მომხდენი ფაქტორების შესასწავლად საჭიროა მიმოვიხილოთ 1990-2016-იანი წლების საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარება და თავად მმართველი ელიტების რიტორიკა. შემდგომ ოთხ თავში გავიხილავთ საქართველოს ოთხი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძის, მიხეილ სააკაშვილისა და გიორგი მარგველაშვილის მმართველობის პერიოდებს. აღნიშნულ თავებში შევეცდებით დეტალურად გავაანალიზოთ თითოეული პრეზიდენტის მოღვაწების დროს ქვეყანაში შექმნილი შიდა პოლიტიკური ვითარება და ამასთანავე მათ მიერ შემუშავებული საგარეო პოლიტიკა და ოფიციალური რიტორიკა.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა სხვადასხვა მკვლევარების ნაშრომები, წიგნები, ანალიტიკური სტატიები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომის შექმნაში განსაკუთრებული წვლილი პირველად წყაროებს - პრეზიდენტების საჯარო გამოსვლებს, საინაუგურაციო სიტყვებს, ყოველწლიურ საპარლამენტო მოხსნებებსა და იმ პერიოდის გაზეთებში („საქართველოს რესპუბლიკა“, „ქართული აზრი“, „აღდგომა“) დაბეჭდილ ინტერვიუებს მიუძღვის. პირველად წყაროებში განსაკუთრებულ ადგილს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ იკავებს, რადგანაც მის ფურცლებზე აქტიურად ქვეყნდებოდა სახელმწიფოს ხელმძღვანელების განცხადებები და მოსაზრებები. 2013 წლის შემდგომი პერიოდის ანალიზისას, ქვეყანაში განხორციელებული კონსტიტუციური ცვლილების შედეგების გათვალისწინებით, ჩვენი ინტერესისა და კვლევის საგანს ასევე წარმოადგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრების საჯარო გამოსვლები და განცხადებები.

# 3. ზვიად გამსახურდიას მმართველობა

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას რიტორიკა მეზობელი რუსეთის ფედერაციის მიმართ ცვალებადობით ხასიათდება. მის განცხადებებსა და ინტერვიუებში ხშირად ვხვდებით საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის ნაცნობ ე.წ. „ორი რუსეთის“ – დემოკრატიულისა და იმპერიული რუსეთის იდეას, რომელთაგანაც მმართველობის საწყის ეტაპზე გამსახურდიასთვის დემოკრატიული რუსეთი და მისი მმართველი ბორის ელცინი მოკავშირედ აღიქმებოდა, იმპერიული ცენტრი კი – მთავარ ბოროტებად, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლად განვითარების გზაზე ეღობებოდა. თუმცა, მიუხედავად თავდაპირველი დადებითი დამოკიდებულებისა, გამსახურდიას რიტორიკა რუსეთის დემოკრატიული ძალების მიმართ დროთა განმავლობაში რადიკალურად შეიცვალა, რასაც განაპირობებდა იმ პერიოდის საქართველოსა და რუსეთის ფედერაციაში საბჭოთა კავშირის ნგრევის შედეგად არსებული შიდა პოლიტიკური ვითარება და მიმდინარე მოვლენები.

თუმცა, სანამ უშუალოდ ზვიად გამსახურდიას რიტორიკის განხილვაზე გადავიდოდეთ, მკითხველისათვის ზოგადი წარმოდგენის მიზნით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აღნიშნული პერიოდის საქართველოში არსებული შიდა პოლიტიკური სიტუაციის მიმოხილვა. მომდევნო ქვეთავი სწორედ აღნიშნულ მიზანს ემსახურება.

## 3. 1 საქართველო დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე

1985 წელს მიხაილ გორბაჩოვის ინიციატივით საბჭოთა კავშირში დაიწყო საბჭოთა პოლიტიკური რეჟიმის ლიბერალიზაცია– „პერესტროიკისა“ და „გლასნოსტის“ პერიოდი. იმპერიული ცენტრის მიერ კონტროლის შემცირებამ კი ძალზედ ნოყიერი ნიადაგი შექმნა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის, რომელმაც მოახერხა და მოსახლეობა საბჭოთა კავშირისაგან გამოყოფის ლოზუნგის ქვეშ გააერთიანა. საქართველოსათვის დამოუკიდებლობის მინიჭების მოთხოვნამ

გარდაუვალი დაპირსიპრება გამოიწვია არსებულ კომუნსიტურ რეჟიმთან, რაც საბოლოოდ სისხლისღვრითა და მსხვერპლით დასრულდა (ნოდია& სქოლტბახი, 2006).

საქართველო–რუსეთის ურთიერთობებში გადამწყვეტი როლი ითამაშა 1989 წლის 9 აპრილის მოვლენებმა. საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების დანაყოფების მიერ რუსთაველის გამზირზე მშვიდობიანი მიტინგის სისხლში ჩახშობამ საბოლოოდ გაწყვიტა ის სუსტი ძაფი, რაც საქართველოს მის ჩრდილოელ მეზობელთან აკავშირებდა. აპრილში დატრიალებულმა მოვლენებმა სათავე დაუდო ქართული ეროვნული მოძრაობის ტრანსფრომირებას რადიკალურ რევოლუციურ მოძრაობად, რომელიც დაუპირისპირდა მოძალადე იმპერიას– საბჭოთა კავშირს. აღნიშნული დაპირისპირება 1990 წლის ოქტომბრამდე გაგრძელდა (ჯონსი, 2013, 45–49).

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში გამართულ მრავალპარტიულ საპარლამენტო არჩევენებში გამარჯვება ზვიად გამსახურდიას ბლოკმა – „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ მოიპოვა. გამსახურდია არჩეულ იქნა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის სათავეში მოსულმა გამსახურდიამ მთავარ მიზნად საბჭოთა კავშირისაგან გათავისუფლება და ახალი ქართული ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბება დაისახა. 1991 წლის 9 აპრილს, რუსთაველის გამზირზე დატრიალებული სისხლიანი ტრაგედიიდან 2 წლის თავზე გამსახურდიამ საქართველოს საბჭოთა კავშირისაგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა, იმავე წლის მაისში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში კი ხმების 86,5 პროცენტით გამარჯვება მოიპოვა და საქართველოს პირველი პრეზიდენტი გახდა (Waal, 2010, 134).

საბჭოთა კავშირისაგან დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ძალიან მალე საქართველო კოლაფსის წინაშე აღმოჩნდა. ქვეყანაში უმუშევრობამ, სიღარიბემ, ქაოსმა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა დესტაბილიზაციამ და ეთნიკურმა დაძაბულობებმა დაისადგურა. შეიარაღებული კონფლიქტების წარმოშობამ ყველანაირი პირობა შექმნა საქართველოში კრიმინალური სიტუაციის შესაქმნელად. გამსახურდიას მცდელობას დაემყარებინა ახალი ავტორიტარული რეჟიმი წინააღმდეგობა შეხვდა ოპოზიციის

მხრიდან, რაც საბოლოოდ სამოქალაქო ომში გადაიზარდა, რომელიც 1991 წლის დეკემბრიდან 1992 წლის იანვრამდე გაგრძელდა (Kukhianidze, 2010,75).

საქართველოს ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ვერ მოახერხა გაეკონტროლებინა სიტუაცია დედაქალაქ თბილისში, სადაც მტრულად განწყობილი ეროვნული საბჭო მოქმედებდა, ასევე უუნარო აღმოჩნდა ემართა სიტუაცია საქართველოს ეთიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. სამხრეთ ოსეთში ეთნიკური ნიშნით დაპირისპირებამ და ქართველებისა და აფხაზების ბრძოლამ სოხუმში საქართველოს ეთნიკურ ომში გახვია. შედეგად 1991 წელს დაწყებულმა პოლიტიკურმა კრიზისმა გამსახურდიას მმართველობის დასასრული გამოიწვია. 19 აგვისტოს გორბაჩოვის წინააღმდეგ განხორციელებული მოსკოვის პუტჩის შემდგომ ზვიად გამსახურდიას მიერ ეროვნული გვარდიის დათხოვნამ საქართველოში სამოქალაქო ომის დაწყებას დაუდო სათავე, რაც საბოლოოდ სამხედრო გადატრიალებითა და გამსახურდიას ჩამოგდებით დასრულდა (Suny, 1994, 326–329).

როგორც სტივენ ჯონსი (2013) აღნიშნავს, საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია ექსტრემალურ ვითარებაში მოვიდა ხელისუფლების სათავეში. ქვეყანაში, სადაც არსებობდა ეკონომიკური კატასტროფის რეალური საფრთხე და საზოგადოებაც უკიდურესად პოლარიზებული იყო, ნოყიერი ნიადაგი არსებობდა ქარიზმატული პოლიტიკის განვითარებისათვის. გამსახურდიაც სხვა პოპულისტი ლიდერების მსგავსად კრიზისის პირობებში გაძლიერდა, თუმცა სწორედ კრიზისის მართვის უუნარობამ გამოიწვია მისი საბოლოო დამარცხება და დამხობაც (გვ. 75–86). შედეგად, საქართველოს ისტორიაში სახალხოდ არჩეული პირველი არაკომუნისტი პრეზიდენტი 15 თვიანი მმართველობის შემდეგ პირველ ექსპრეზიდენტად იქცა (გვ.101).

## 3.2 ზვიად გამსახურდიას რიტორიკა

მართალია ზვიად გამსახურდია ქვეყნის პირველი პირის პოსტზე ძალზედ მცირე პერიოდის მანძილზე იმყოფებოდა, მაგრამ თუნდაც ამ მოკლე დროითი მონაკვეთის განმავლობაში მის მიერ გაკეთებული განცხადებები და მოწოდებები საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ მისი დამოკიდებულება და პოლიტიკა რუსეთის ფედერაციის მიმართ. აღსანიშნავია, რომ მმართველობის დასაწყისში ზვიად გამსახურდიას რიტორიკაში აშკარა ანტი-რუსული განწყობა არ შეინიშნებოდა. მის თავდაპირველ ოფიციალურ განცხადებებსა და გამოსვლებში ძირითადი აქცენტები იმპერიული კრემლისა და მისი ბნელი ძალებისა და აგენტურის წინააღმდეგ ბრძოლაზეა გამახვილებული. შესაბამისად ხშირად ვხვდებით ისეთ გამონათქვამებსა და შედარებებს, როგორებიცაა „კრემლის იმპერიული პოლიტიკა“, „ბნელი ძალები“, „კრემლის აგენტები“, „ბარბაროსული იმპერია“, „რეაქციული ძალები“, „კრემლის პროპაგანდა“, „სიცრუის მანქანები“, „საქართველოს წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაციული ომი“ და ა.შ..

გამსახურდიას რიტორიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს უარს სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერასა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) გაწევრიანებაზე და ამის საპასუხოდ კრემლის მიერ საქართველოს წინააღმდეგ გაჩაღებულ ომზე. გამსახურდიას განცხადებებით ეს იყო ომი ყველა თვალსაზრისით: შეიარაღებული თავდასხმა, საინფორმაციო ბლოკადა და ასევე ენერგეტიკული ბლოკადა, რომელსაც იმპერიული ცენტრი იყენებდა, როგორც სადამსჯელო ოპერაციას საქართველოში კომუნისტური რეჟიმის დამხობისა და ჩატარებული თავისუფალი არჩევნების საპასუხოდ („ზვიად გამსახურდია: კრემლი ულტიმატუმებით გველაპარაკება,“ 1991).

თუმცა აღსანიშნავია, რომ კრემლის წინააღმდეგ ბრძოლის პარალელურად მმართველობის დასაწყისში ზვიად გამსახურდიას რიტორიკაში ნათლად ჩანს დემოკრატიული რუსეთისა და მისი ლიდერის ბორის ელცინისადმი მხარდაჭერა. ყოველივე ამის ნათელი დადასტურებაა ქვეყნის პირველი პირის შემდეგი

გამონათქვამები: *„ერთმორწმუნე რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება“, „ჩვენ ყველას რუსეთის, ელცინის დიდი იმედი გვაქვს“, „მხარს ვუჭერთ რუსეთის სფსრ რესპუბლიკის პრეზიდენტს ელცინს და პარლამენტს“* და ა.შ..

გამსახურდიას ამგვარი ორაზროვანი დამოკიდებულება და რადიკალურად განსხვავებული რიტორიკა იმპერიული კრემლისა და ელცინის დემოკრატიული რუსეთის მიმართ უსაფუძვლო ნამდვილად არ ყოფილა და გარკვეულ ლოგიკას ექვემდებარებოდა. აღსანიშნავია, რომ გამსახურდიას მმართველობის დასაწყისში საქართველო არ წარმოადგენდა სუვერენულ სახელმწიფოს, უფრო მეტიც იგი დამოუკიდებელი არ ყოფილა საბჭოთა კავშირის დაშლამდე, კერძოდ კი 1991 წლის დეკემბრამდე. შესაბამისად, გამსახურდიას მანევრირება უწევდა მომაკვდავი იმპერიული სახელმწიფოს ფარგლებში, რომელსაც მიუხედავად ყველაფრისა ჯერ კიდევ შესწევდა ძალა, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლებისათვის საფრთხე შეექმნა (ჯონსი, 2012, 76).

აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე, ქვეყნის სათავეში მოსვლისთანავე ზვიად გამსახურდიამ მისი და მისი მთავრობის მთავარ მიზნად საბჭოთა კავშირისაგან საქართველოს სრული იზოლაცია და სხვა სახელმწიფოთა მიერ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო აღიარება დაისახა. როგორც მის წინა საარჩევნო პროგრამაში იყო გაცხადებული საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარება მჭიდროდ იყო დაკავშირებული საბჭოთა კავშირის მიერ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 9 აპრილს მიღებული „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის“ კანონიერების აღიარებასთან. („საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატის,“ 1991). თუმცაღა, არსებულმა რეალობამ და კრემლის იმპერიალისტურმა პოლიტიკამ, რომელიც უხეშად არღვევდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას შეუძლებელი გახადა ორ მხარეს შორის თანასწორუფლებიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება. შედეგად გამსახურდიას მთავარ მიზნად კრემლისაგან საქართველოს სრული იზოლაცია იქცა.

საბჭოთა კავშირის იმპერიული ქმედებების საპასუხოდ ზვიად გამსახურდიას რიტორიკა კრემლის წინააღმდეგ მთლიანად საზოგადოების მობილიზაციაზე იყო ორიენტირებული, რადგანაც სწორედ ბოროტ იმპერიასთან ბრძოლა წარმოადგენდა დამოუკიდებლობის მიღწევის ერთადერთ რეალურ საშუალებას. გამსახურდია ცენტრისადმი წინააღმდეგობას თავისი ყოველდღიური ქმედებებითაც გამოხატავდა, რითაც საზოგადოების ყურადღებას კიდევ უფრო მეტად იპყრობდა. ამ მხრივ, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ყოფნისას იგი უარს აცხადებდა კრემლში გამგზავრებაზე. მართლაც, აღნიშნულ პოსტზე ყოფნისას გამსახურდიას ერთხელაც არ გადაუბიჯებია კრემლის ზღურბლისათვის. ამ სიმბოლური ქმედებით გამსახურდია ქართულ საზოგადოებასა და მსოფლიოში გზავნიდა შეტყობინებას იმის თაობაზე, რომ კრემლთან ურთიერთობა მხოლოდ მაშინ გახდებოდა შესაძლებელი, რაც საქართველო იმპერიის მარწუხებისაგან საბოლოოდ გათავისუფლდებოდა ( „ზვიად გამსახურდია: კრემლის ზღურბლს მაშინ გადავაბიჯებ," 1991).

ზვიად გამსახურდიას რიტორიკის ანალიზისას ნათლად ჩანს საქართველოსადა მისი მოსახლეობისთვის კარგად ნაცნობი „ორი რუსეთის" – დემოკრატიულის და იმპერიულის იდეა, რომელთაგანაც იმდროინდელი პოლიტიკური ელიტა რაღა თქმა უნდა დემოკრატიულ რუსეთს უცხადებდა სრულ მხარდაჭერასა და თანადგომას.

საქართველოს პირველი პირის განცხადებებისა და ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ რუსეთის დემოკრატიული მოძრაობისა და მისი ლიდერის, ბორის ელცინისადმი კეთილგანწყობა და მხარდაჭერა უსაფუძვლო ნამდვილად არ ყოფილა და მას გარკვეული ფაქტორები და რწმენები ედო საფუძვლად. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღიარების საკითხი. იმისათვის, რომ საქართველო რუსეთისაგან სწრაფად გამიჯნულიყო, მისი ტერიტორიული მთლიანობა და დამოუკიდებლობა პირველ რიგში თავად რუსეთს უნდა ეცნო. შესაბამისად, სწორედ რუსეთისაგან აღიარების მოტივი ამოძრავებდა ზვიად გამსახურდიას, როდესაც იგი მტკიცე მხარდაჭერას უცხადებდა რუსეთის დემოკრატიულ ძალებსა და მის ლიდერ ელცინს იმპერიულ ძალებთან წინააღმდეგ ბრძოლაში.

ზვიად გამსახურდიას დადებით როტირიკას რუსეთის დემოკრატიული ძალების მიმართ ასევე განაპირობებდა იმ პერიოდის საქართველოში არსებული კრიზისული ვითარებაც. გამსახურდია აცნობიერებდა, რომ პატარა და დასუსტებული საქართველო დამოუკიდებლად ვერ შეძლებდა იმპერიულ ცენტრთან გამკლავებას, სწორედ ამიტომ თავდაპირველად იგი დახმარების იმედს ბორის ელცინზე ამყარებდა. ყოველივე ამის ნათელი დადასტურებაა გამსახურდიას შემდეგი სიტყვებიც: *„ამ მხრივ ჩვენ ყველას რუსეთის, ელცინის დიდი იმედი გვაქვს. ვიცით, როგორ უჭირს – იქნება ყველაზე მეტადაც, ჩვენს შორის. ყველაზე მეტად მას უტევენ. როგორ დავეხმაროთ ამ კაცს? ერთადერთი იმედი ისაა – მებრძოლია და მაინც ვშიშობ... მითუმეტეს, რეაქციული ძალები ცენტრშიაც უტევენ*“ („ზვიად გამსახურდია: კრემლის ზღურბლს მაშინ გადავაბიჯებ,“ 1991).

ზემოხსენებული სიტყვებით კიდევ ერთხელ დასტურდება გამსახურდიას მხარდაჭერა ელცინისადმი და მოლოდინი იმისა, რომ რუსეთში დემოკრატიული ძალების გამარჯვების შემთხვევაში, საქართველოს ეყოლებოდა ძლიერი მხარდამჭერი საბჭოთა კავშირის იმპერიულ, ბნელ ძალებთან და მისი ლიდერის მიხაილ გორბაჩოვის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში. სწორედ რუსეთის სუვერენულობა, მისი მომავალი სახელმწიფო ძლიერება უნდა გამხდარიყო გარანტი იმისა, რომ საბჭოთა იმპერია დაიშლებოდა და მის ადგილას წარმოიქმნებოდა ექვსი სუვერენული სახელმწიფო, რომელთაგანაც ერთ-ერთი საქართველო იქნებოდა („საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას გამოსვლა,“ 1991).

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის დადებით რიტორიკასა და დამოკიდებულებაში დემოკრატიული რუსეთის მიმართ, ასევე ძალზედ დიდ როლს თამაშობდა მოლოდინი იმისა, რომ ბორის ელცინი და დემოკრატიული ძალები საქართველოს დახმარებას აღმოუჩენდნენ ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ მიმდინარე ეთნიკური კონფლიქტის დარეგულირებაშიც. ამ მხრივ აღსანიშნავია 1991 წლის 23 მარტს, დაბა ყაზბეგში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიასა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბორის ელცინის შეხვედრა, რომელიც

სწორედ ცხინვალის რეგიონში მიმდინარე საომარი მოქმედებების დარეგულირებას ისახავდა მიზნად (ფონდი ღია საზოგადოება, 2013, 21).

ზვიად გამსახურდიას თვალსაზრისით ძალზედ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ყაზბეგში გამართულ შეხვედრაზე მხარეების შეთანხმების შედეგად ხელი მოეწერაოქმს, რომელიც ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რეგიონში ვითარების სტაბილიზაციისა და მშვიდობის დამყარებისათვის ერთობლივ ქმედებებს ითვალისწინებდა. 1991 წლის 25 მარტს სატელევიზიო მიმართვაში გამსახურდიამ ხელმოწერილ ოქმს საქართველოსა და რუსეთს შორის დაახლოების პროცესების საწინდარი უწოდა და ხაზგასმით აღნიშნა ის ფაქტი, რომ დოკუმენტში ფიგურირებდა გამოთქმა „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“, რაც დადასტურება იყო იმისა, რომ რუსეთის ხელმძღვანელობა არ ერეოდა საქართელოს შიდა საქმეებში და იმპერიული ცენტრის მსგავსად არ მოითხოვდა ე.წ „სამხრეთ ოსეთის ოლქის“ აღდგენას. აღნიშნული მოლოდინი დასტურდება კიდეც გამსახურდიას შემდეგ სიტყვებში: *„საბედნიეროდ, უკვე აღარ არის ძველებური დიქტატი, აღარ არის ის ძველებური ტენდენციები ექსპანიონიზმისა და ამის ერთ–ერთი ნათელი დამადასტურებელი მაგალითი გახლავთ ოქმი, რომელიც ჩვენს შეხვედრაზე შევადგინეთ“ („საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას გამოსვლა ტელევიზიით,“ 1991).*

თუმცა ოქმის ხელმოწერიდან რამდენიმე დღეში გამსახურდიას კეთილგანწყობა და დადებითი რიტორიკა რუსეთის დემოკრატიული ძალების მიმართ რადიკალურად შეიცვალა ე.წ „სამხრეთ ოსეთში“ დატრიალებული მოვლენების შედეგად. 31 მარტს, საქართველოს ისტორიული რეფერენდუმის დღეს რუსეთის ფედერაციის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე მიღებულმა დადგენილებამ „სამხრეთ ოსეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ“, რომელსაც მხარს ასევე უჭერდა რუსეთის დემოკრატიული მოძრაობაც, ქართველებში „დემოკრატიული რუსეთით“ მცირე აღფრთოვანება დაასრულა (წამალაშვილი, 2016, 384).

ქართული პოლიტიკური ელიტის მხრიდან აღნიშნული დადგენილება შეფასდა, როგორც საქართველოს რესპუბლიკის საქმეებში უხეში ჩარევა, რაც ფაქტობრივად

წარმოადგენდა საკავშირო მთავრობის იმპერიული ამბიციების მხარდაჭერას. *„გაოცებას იწვევს, რომ დადგენილება მიიღო უმრავლესობამ, რუსეთის დემოკრატიული ძალების წარმომადგენლების ჩათვლით, რომლებიც თითქოსდა საკავშირო მთავრობის დიქტატურისა და იმპერიულ ზრახვათა წინააღმდეგ იბრძვიან“* - აცხადებდა ზვიად გამსახურდია რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა III საგანგებო ყრილობისადმი გაგზავნილ მიმართვაში და ადანაშაულებდა მას სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების სანქცირებაზე. აღნიშნული ქმედებით გამსახურდიასათვის რუსეთის დემოკრატიული ძალები კრემლის აგენტურასთან გათანაბრდა. შედეგად, ერთ დროს მოკავშირედ აღქმული დემოკრატი ელცინის რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლი იმპერიულად განწყობილი ძალების შემადგენელ ნაწილად იქცა და გამსახურდიას რიტორიკამაც ტრანსფორმაცია განიცადა. (“მიმართვა რუსეთის სფს რესპუბლიკის,“1991).

მმართველობის ბოლო პერიოდის განხილვისას ნათლად შეინიშნება ზვიად გამსახურდიას უარყოფითი რიტორიკა და იმედგაცრუება ბორის ელცინის მიმართ. მის მიმართვებსა და ინტერვიუებში ელცინი ხშირად არის დადანაშაულებული საქართველის საშიანო საქმეებში ჩარევასა და ე.წ. სახელმწიფო საბჭოს ძალებთან, სამშობლოს მტრებთან თანამშრომლობაში („საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის განცხადება,“ 1992).

დემოკრატიული რუსეთით უკმაყოფილება ასევე იკვეთება გამსახურდიას მიმართვაში ელცინის მიმართ, სადაც იგი გმობს 1993 წლის 28 ოქტომბერს რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ ფოთზე კონტროლის დაწესებას, უწოდებს მას აგრესიის მორიგ აქტს საქართველოს წინააღმდეგ და პროტესტის ნიშნად მოუწოდებს ელცინს მხარი არ დაუჭიროს შევარდნაძის ანტიხალხურ რეჟიმს და დაუყოვნებლივ გაიყვანოს ჯარი ქალაქიდან („რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს,“ 1993).

რაც შეეხება რუსეთისა და რუსი ხალხის მიმართ გამსახურდიას დამოკიდებულებას ფაქტია, რომ ამ შემთხვევაში უარყოფითი განწყობა არ შეინიშნება. ქვეყნის პირველი პირის ინტერვიუებში ხშირად აქვს ხაზი გასმული ქართველი და რუსი ხალხების მრავალწლიან მეგობრობას და მათ შორის არსებულ ისტორიულ

კავშირებს. გაზეთ „ნაროდანია პრავდას“ ჟურნალისტთან საუბრისას გამსახურდია განიხილავს მისთვის არც თუ ისე უცხო პრორუსულ განწყობას და იმედოვნებს, რომ რუსი ხალხის საღი აზრი და გონიერება იხსნის კავკასიას ახალი ომის უფსკრულისაგან. აღნიშნული დამოკიდებულება ასევე ნათლად ჩანს გამსახურდიას შემდეგ გამონათქვამშიც: *„ვიმედვნებ, არც თქვენ აიგივებთ ელცინსა და რუსეთს! მმართველები მოდიან და მიდიან, ქვეყანა კი რჩება“* („ეროვნება არ აქვს ცხოველს,“ 1992).

ზვიად გამსახურდიას რუსეთისადმი რიტორიკა, რომ შევაფასოთ დავინახავთ საქართველოსათვის კარგად ნაცნობი „ორი რუსეთის“ არსებობის ფაქტს, რაც გამსახურდიას მიერ გატარებული პოლიტიკის მთავარ განაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენდა. მისი გამოსვლებისა და ინტერვიუების ანალიზისას იკვეთება, რომ მმართველობის საწყის ეტაპზე გამსახურდიას მხარდაჭერასა და დადებით რიტორიკას დემოკრატიული რუსეთისა და მისი ლიდერის მიმართ შემდეგი ფაქტორები განაპირობებდა: იმ პერიოდის საქართველოში არსებული რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება, საქართველოს საერთაშორისოდ არაღიარების საკითხი და ქვეყანაში მიმდინარე ეთნიკური დაპირისპირებები.

რაც შეეხება გამსახურდიას თავდაპირველ მცდელობას დემოკრატი ბორის ელცინი მსხვერპლად წარმოეჩინა, რომელსაც ყოველი მხრიდან ებრძოდნენ იმპერიული ძალები თავისი მიზანი გააჩნდა - იგი აღნიშნული ქმედებით კიდევ უფრო მეტად აძლიერებდა მის მიერ შექმნილ და დამკვიდრებულ „მტრის ხატს“ ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში და მოსახლეობის მობილიზაციას ახდენდა იმპერიული რუსეთის წინააღმდეგ.

საქართველოში არსებული დაძაბული ვითარება და მმართველი ელიტის რიტორიკა რუსეთის მიმართ გარკვეულწილად შეიცვლა, როდესაც საქართველოს სათავეში მოვიდა ედუარდ შევარდნაძე, რომლის შესახებაც მომდევნო თავში ვისაუბრებთ.

# 4. ედუარდ შევარდნაძის მმართველობა

საქართველოს მეორე პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის რიტორიკა რუსეთის ფედერაციის მიმართ თანმიმდევრულობით ნამდვილად არ ხასიათდება. მისი მმართველობისათვის ზვიად გამსახურდიას პერიოდის მსგავსად დამახასიათებელია ე.წ. „ორის რუსეთის“ იდეა, რომელთაგანაც ერთი რუსეთი პროგრესული და დემოკრატიული იყო, მეორე კი – ავტორიტარული, რომელსაც საქართველოსთან დაკავშირებით იმპერიული მიზნები გააჩნდა. ერთმორწმუნე და ძლიერი ჩრდილოელი მეზობლისადმი ამგვარი „ორმაგი“ დამოკიდებულება და ოფიციალური რიტორიკა შევარდნაძის მმართველობის მთელ პერიოდს გასდევს კვალად და იმ პერიოდის საქართველოსა და რუსეთში მიმდინარე მოვლენების გამოძახილს წარმოადგენს.

1992 წლის 7 მარტს, სამხედრო საბჭოს მოწვევით მოსკოვიდან საქართველოში დაბრუნდა 1972-1985 წლებში, ქართველი პარტიული ლიდერი ედუარდ შევარდნაძე. ბედის ირონიას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ სამოქალაქო ომით გაყოფილ საქართველოს მხსნელად მოევლინა პიროვნება, რომლისთვისაც წლების განმავლობაში საქართველოს მზე ჩრდილოეთიდან ამოდიოდა (ჯონსი, 2013, 105).

ქვეყანაში კარგად ახსოვდათ 1976 წლის 25 თებერვალისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა საქართველოს გასაბჭოების დღისადმი მიძღვნილ სხდომაზე, სადაც იგი ხოტბას ასხამდა ლენინის იდეებსა და რუსეთს: „ჩვენთვის ნამდვილი მზე აღმოსავლეთიდან კი არა ჩრდილეოთიდან, რუსეთიდან ამოვიდა, ეს იყო ლენინის იდეების მზე“ (Shevardnadze, 1976, as cited in Chikovani & Kakitelashvili, 2015, 131).

ედუარდ შევარდნაძის საქართველოს სათავეში მოსვლა ნამდვილ გამოწვევას წარმოადგენდა არა მხოლოდ მისთვის, არამედ საქართველოს მოსახლეობისა და თავად რუსეთისთვისაც. პარტიული ლიდერის რანგში ხანგრძლივი სამსახური შევარდანძის მიმართ ამბივალენტურ დამოკიდებულებას იწვევდა. ქართველები მას ხშირად პრო–რუსულობაში ადანაშაულებდნენ, რუსეთის გავლენიანი წრეები, განსაკუთრებით კი

სამხედროები, საბჭოთა კავშირის დანგრევაში სდებდნენ ბრალს. შესაბამისად შევარდნაძის პიროვნება ქართულ–რუსული ურთიერთობების ნორამლიზებაში მთელ რიგ პრობლემებს ქმნიდა (ჯონსი, 2013, 109).

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მთელი რიგი წინააღმდეგობებისა და ქვეყანაში არსებული კრიზისული ვითარებისა, ედუარდ შევარდანძის მმართველობის პერიოდში ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ წინა ხელისუფლებისაგან განსხვავებით გეოპოლიტიკური გარემოს  უკეთესი შეფასება გამოავლინა და ფრთხილი, თუმცა ზედმიწევნით დასავლური ორიენტაციის საგარეო პოლიტიკური კურსი აიღო. თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ შევარდნაძე საგარეო პოლიტიკის ფორმულირებისას დიდად იყო დამოკიდებული არაპროგნოზირებად და რევანშისტულ მეზობელ რუსეთზე. შესაბამისად მისთვის ერთ–ერთი უმთავრესი მიზანი რუსეთის ფედერაციასთან  სტაბილური და ჰარმონიული ურთიერთობების დამყარება იყო (რონდელი, 2009, 283–285). სწორედ შევარდნაძის დაბალანსებული რიტორიკისა და გატარებული საგარეო პოლიტიკის შედეგად შეგვიძლია მივიჩნიოთ საქართველოსთვის ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორიც 1992 წელს რუსეთის მხრიდან მისი დამოუკიდებლობის აღიარება იყო (Slider, 1995, 221).

ზვიად გამსახურდიასგან განსხვავებით, რომელიც რუსეთს ღიად უწოდებდა „ოკუპანტ ქვეყანას“, შევარდანძემ უფრო  პრაგმატული  საგარეო პოლიტიკის გატარება დაიწყო, რომლის მთავარ მიზანსაც ჩრდილოეთისა და დასავლეთის დაბალანსება წარმოადგენდა. მისი მმართველობის დროს საქართველი აშკარად ისწრაფვოდა დასავლურ ინსტიტუტებში ინტეგრაციისაკენ, მაგრამ ამავე დროს რუსეთის დომინანტობით შექმნილი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრის სტატუსსაც ინარჩუნებდა. შევარდნაძის პრაგმატული პოლიტიკის შედეგი იყო ისიც, რომ სეპარატისტულ რეგიონებში მიმდინარე კონფლიქტები „გაიყინა“ და  რუსეთის ფედერაციამ ფორმალურად აღიარა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. შესაბამისად გასაკვირი არ არის, რომ აღნიშნულ პერიოდში შევარდნაძის რიტორიკაში რუსეთი ხშირად მოხსენიებული იყო, როგორც საქართველოს „სტრატეგიული პარტნიორი“ (Huseynov, 2015, 120-121).

როგორც მოცემული თავის დასაწყისში ავღნიშნეთ  შევარდნაძის რიტორიკაში ძალზედ მნიშნველოვან როლს ასრულებდა „ორი რუსეთის“ იდეა, რომელთაგანაც ერთი რუსეთი „მტერი“ იყო, მეორე კი დემოკრატიული რუსეთი, რომელიც შევარდნაძისთვის ბორის ელცინთან ასოცირდებოდა და საქართველოს გადარჩენისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა. დემორკატიული რუსეთისადმი კეთილგანწყობა და იმედი შეიმჩნევა  შევარდნაძის შემდეგ სიტყვებშიც: *„ჩვენ ვითვალისწინებთ რუსეთში ძალთა და განწყობილებათა რთულ განლაგებას, მაგრამ რა პოლიტიკური მოტივიც უნდა მწიფდებოდეს იმპერიის ნანგრევებზე, ჩვენ ვეყრდნობოდით და ვეყრდნობით ჯანსაღ დემოკრატიულ ძალებს“* („ედუარდ შევარდნაძის პასუხი იზვესტიის კითხვაზე,“ 1992).

აღსანიშნავია, რომ მმართველობის დასაწყისში,  ჯერ კიდევ სახელმწიფოს საბჭოს მეთაური შევარდნაძე სწორედ რუსეთის იმპერიულ ძალებს სდებდა ბრალს საქართველო–ოსეთის კონფლიქტის გაჩაღებაში. ამის დასტურია რუსეთის ვიცე–პრეზიდენტის ა.ვ. რუცკოის მისამართით წარმოთქმული მისი შემდეგი სიტყვებიც: *„კონფლიქტი ექსტრემისტი პოლიტიკოსების მიერ იყო ინსპირირებული და მისი მოწესრიგების ერთადერთი გზა პოლიტიკური დიალოგი და მშვიდობიანი მოლაპარაკება გახლავთ“.* თუმცა, ამავე მიმართვაში იკვეთება ბორის ელცინისა და რუსი ხალხის მიმართ არსებული დადებითი დამოკიდებულებაც. შევარნდაძის განცხადებით თავსდამტყდარი მნიშვნელოვანი ახალი განსაცდელის ჟამს, ქართველებს არ უნდა დაეკარგათ რუსი ხალხის, თითოეული რუსის ნდობა და პატივისცემა, არ ჰქონდა მნიშვნელობა იქნებოდა ის სამხედრო, თუ უბრალო სამოქალაქო პირი („ედუარდ შევარდნაძის წერილი,“ 1992).

დემოკრატიული რუსეთისადმი კეთილგანწყობა და მხარდაჭერა იკვეთება გაეროს გენერალური ასამბლეის 47–ე სესიაზე  ედუარდ შევარდნაძის მიერ წარმოთქმულ მოხსენებაშიც. საქართველოს მეთაურმა გაეროს წევრი სახელმწიფოების მეთაურების წინაშე კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოსათვის რუსეთთან მეგობრული ურთიერთობების განსაკუთრებული მნიშვნელობა და ისაუბრა რუსეთის ჩართულობასა და როლზე საქართველოს ტერიტორიებზე, კერძოდ კი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პროცესებში. შევარდნაძის

გამოსვლაში კვლავაც გაჟღერდა „ორი რუსეთის“ იდეა – არსებობდა დემოკრატიული რუსეთი, რომელიც პატივს სცემდა და ადასტურებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და საზღვრების ურღვეობის პრინციპს, მაგრამ ამავე დროს საქართველოს შეთქმულებით ემუქრებოდა რუსეთის წითელ–მიხაკისფერი რეაქცია, რომელიც ერთ მწყობრში თანაარსებობდა უკიდურეს ფუნდამენტალიზმთან, სამამულო ფაშიზმთან და სეპარატიზმთან.

რუსეთში არსებული დაპირისპირების ფონზე, შევარდნაძე გაეროს ტრიბუნიდან მსოფლიოს ლიდერებს მოუწოდებდა დაეცვათ დემოკრატიული რუსეთი ტოტალიტარული და რევანშისტული ძალების თავდასხმებისაგან, რადგან სწორედ სტაბილური, დემოკრატიული და აყვავებული რუსეთი იყო მშვიდობის საწინდარი, არა მარტო საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის („საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა“, 1992).

1993 წელს, როდესაც აფხაზეთში ომი მძვინვარებდა და სისხლი იღვრებოდა, ალყაში მოქცეული სოხუმიდან გავრცელდა ეუდარდ შევარდნაძის განცხადება „მიმართვა ჩემი სამშობლოს ყველა მეგობარს!“, სადაც შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც საქართველოს დახმარების ხელი გამოუწოდა და ამასთანავე საჯაროდ გააჟღერა წყენა და იმედგაცრუება რუსეთისადმი (Chikovani & Kakitelashvili, 2015, 134). *„უკვე მესამედ, ვენდეთ რა რუსეთის სამშვიდობო მისიას, მის, როგორც გარანტისა და შუამავლის როლს, დავდეთ 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმება და პასუხად კვლავ ღალატი მივიღეთ“.* თუმცა, ამავე მიმართვაში კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა შევარდნაძის დადებითი დამოკიდებულება პროგრესული, დემოკრატიული რუსეთისა და განსაცდელში მყოფი მისი ლიდერის მიმართ: *„აფხაზეთი იმპერიის სისხლიანი რევანშის საბრძოლო ველია, „მეორე აგვისტოა“, იმ დენთის კასრია, რომლის მეშვეობითაც არა მარტო შევარდნაძის საქართველო სურთ ააფეთქონ, არამედ ელცინის რუსეთიც“.* მიმართვაში შევარდნაძე კიდევ ერთხელ ადასტურებდა მის ურყევ მხარდაჭერას ბორის ელცინს მიმართ და მოუწოდებდა მას აშკარად ეთქვა ვაჟკაცური სიტყვა საქართველოსა და რუსეთის დასაცავად, რადგან ორივე ქვეყნის შვილები

ისტორიულად მუდამ ერთ ბედქვეშ იმყოფებოდნენ და კვლავაც საერთო განსაცდელის წინაშე იდგნენ („ მიმართვა ჩემის სამშობლოს ყველა მეგობარს“, 1993).

აღნიშნული გზავნილით და მსგავსი რიტორიკით ედუარდ შევარნდაძე ცდილობდა დახმარება მიეღო დემოკრატიული რუსეთის მმართველისაგან საქართველოში მიმდინარე კონფლიქტების მოსაგვარებლად, რაც ხელს შეუწყობდა მისი პოზიციისა და ძალაუფლების განმტკიცებას ქვეყნის შიგნით. ამასთანავე იმპერიული რუსეთის, როგორც „მტრის ხატის“ შექმნითა და დემოკრატიული ელცინის მთავრობის სისხლიანი იმპერიის მსხვერპლად წარმოჩენით შევარდნაძე ცდილობდა გავლენა მოეხდინა ქართველების ცნობიერებაზე და მიეღო მოსახლეობის მხარდაჭერა სამომავლო ქმედებებში.

ედუარდ შევარდნაძის მმართველობაში ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა საქართველოს გაწევრიანება რუსეთის ფედერაციის დომინირებით შექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ). აღნიშნულმა ქმედებამ ერთგვარი დაღი დაასვა ედუარდ შევარდნაძის პრო–დასავლურ რიტორიკას და საქართველოში დიდი ვნებათაღელვის საბაბიც გახდა. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ შევარდნაძის ეს ქმედება ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვად მიიჩნია, რადგან მათ წარმოდგენაში დსთ „მოდერნიზებულ საბჭოთა კავშირთან“ ასოცირდებოდა. შესაბამისად, ქართველების რწმენით აღნიშნული ორგანიზაციის წევრობა გარდაუვლად მოიტანდა კიდევ ერთ, ახალი ოკუპაციის პერიოდს საქართველოს ისტორიაში (Macaberidze, 2008, 147).

ქვეყნის პირველი პირი საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაწევრიანებას შემდეგი მიზეზებით ხსნიდა, მისი განცხადებით ეს ნაბიჯი აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად. შევარდნაძე მოსახლეობაში აქტიურად გზავნიდა სიგნალს, იმის თაობაზე, რომ ისეთი პატარა ქვეყნისათვის როგორიც საქართველო იყო პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ინტერესების ეფექტური დაცვა მხოლოდ და მხოლოდ მრავალმხრივი თანამშრომლობის მექანიზმებით მიიღწეოდა. *„დსთ–ში გაწევრიანება ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანას დაიმკვიდროს*

*სრულყოფილი ადგილი საერთაშორისო რეგიონული ურთიერთობების სისტემაში, ჩაებას მრავალმხრივი თანამშრომლობის მექანიზმებში“* („დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს შესვლასთან დაკავშირებით,“ 1994).

მოსახლეობაში არსებული უკმაყოფილების აღმოფხვრისა და მათი მხარდაჭერის მოპოვების მიზნით შევარდნაძის რიტორიკაში აქტიურად ესმეოდა ხაზი იმ ფაქტს, გადარჩენისათვის ბრძოლაში აუცილებელი იყო ქვეყანას ემოქმედა არა ილუზიებისა და ემოციების საფუძველზე, არამედ რეალური სიტუაციიდან გამომდინარე. მისი განცხადებით საქართველოსათვის დსთ წარმოადგენდა ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვეობის სამართლებრივი უზრუნველყოფის ერთადერთ რეალურ საშუალებას. ასევე ისმოდა განცხადებები, რომ თანამეგობრობაში გაწევრიანება განხორციელდა მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსეთის პოლიტიკური ასპარეზიდან წავიდნენ ის რევანშისტული ძალები, რომლებიც ქვეყანაში ტოტალიტარული რეჟიმის დაბრუნებისაკენ მიისწრაფვოდნენ.

შევარდნაძის მტკიცებით დსთ–ს წევრობა ახალ შესაძლებლობებს ქმნიდა საქართველოსათვის: *„ახლა შეგვიძლია ლაპარაკი ჩვენს სახელმწიფოებს შორის თანასწორუფლებიან და ორივე მხარისათვის ხელსაყრელ ურიერთობებზე, ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ ერთმანეთს“*. შევარდნაძე ორგანიზაციის კიდევ ერთ დიდ პლიუსად აცხადებდა იმას, რომ მრავალმხრივი თანამშრომლობის მექანიზმი ეკონომიკურ კრიზისში მყოფ საქართველოს აძლევდა საშუალებას მეზობლებთან აღედგინა დარღვეული ეკონომიკური კავშირები, რაც ქვეყანას განვითარების სრულიად ახალ საფეხურზე აიყვანდა („დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლა,“ 1993).

თუმცა მიუხედავად საჯაროდ გაცხადებული მიზეზებისა, საინტერესოა რეალურად რა ფაქტორებმა განაპირობა ედუარდ შევარდნაძის გადაწყვეტილება ყოფილი დამპყრობლის მეთაურობით ჩამოყალიბებულ ორგანიზაციაში გაწევრიანების თაობაზე. რუსეთისაკენ შემობრუნება მართლაც გასაკვირი იყო, 1992–1993 წლებში შევარდნაძის თანამეგობრობაში გაწევრიანებაზე უარისა და მისი დასავლური საგარეო

პოლიტიკური კურსის გათვალისწინებით, რომლის საბოლოო მიზანსაც საქართველოს ევროპულ და ევრო–ატლანტიკურ ინსტიტუტებში სრული ინტეგრაცია წარმოადგენდა.

მართალია, ოფიციალურად გაცხადებული საგარეო კურსიდან გადახვევამ და ჩრდილოელი მეზობლისაკენ შემობრუნებამ შევარნდაძეს მოსახლეობის უკმაყოფილება მოუტანა, მაგრამ ამ შემთხვევაში ქვეყნის პირველი პირისათვის საზოგადოების განწყობასა და მხარდაჭერაზე მეტად მნიშვნელოვანი საქართველოში არსებული უალტერნატივო სიტუაცია იყო, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნიდა მის ძალაუფლებას. ქვეყანაში ახალი დამთავრებული იყო სამოქალქო ომი, ეთნიკური ნიშნით დაპირისპირება კვლავაც მიმდინარეობდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ასევე ქვეყნის მთლიანობას სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ სამეგრელოში განლაგებული გამსახურდიას მომხრეები. აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე, ქვეყანაში წესრიგისა და საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით შევარდნაძე ფაქტობრივად იძულებული შეიქნა რუსეთის თამაშის წესები მიეღო და ამით თავიდან აეცილებინა საქართველოს ნაწილებად გახლეჩვა.

მოცემული პერიოდის საქართველოში არსებული სიტუაციის ანალიზისას იკვეთება, რომ რეალურად მართლაც არსებობდა საქართველოს დანაწილების საფრთხე. ყოველივე ეს დასტურდება კიდეც ედუარდ შევარდნაძის მემუარებში, როდესაც იგი საუბრობს ბორის ელცინთან და რუსეთის თავდაცვის მინისტრ გრაჩოვთან მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე, სადაც დახმარების მიღების იმედად ჩასულ შევარდნაძეს მისდა მოულონელად წითელი ხაზებით შუაზე გაყოფილი საქართველოს რუკა წარუდგინეს. რუსეთის ფედერაციის ლიდერების გეგმის თანახმად, საქართველოს გამყოფი ხაზი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შეერთების ადგილას – წიფის გვირაბზე უნდა გასულიყო. შედეგად აღმოსავლეთ საქართველოში ედუარდ შევარდნაძე უნდა მჯდარიყო, დასავლეთ საქართველო კი ზვიად გამსახურდიას უნდა ემართა (შევარდნაძე, 2006, 433).

საქართველოს დსთ–ში გაწევრიანებითა და ე.წ. "ჩარჩო ხელშეკრულების" ხელმოწერით დაიწყო ახალი ეტაპი საქართველო–რუსეთის ურთიერთობებში. ფაქტიურად აღნიშნული ხელშეკრულება იყო ახალი ვერსია გეორგიევსკის ტრაქტატისა,

რომლის შედეგადაც საქართველომ დაუშვა რუსეთის სამხედრო ძალების განლაგება თავის ტერიტორიაზე მოსკოვის მიერ ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის სანაცვლოდ. საქართველოს მმართველ წრეში პოპულარულობა მოიპოვა ხედვამ, რომლის თანახმადაც აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების გასაღები მოსკოვში იყო საძიებელი (Matsaberidze, 2008, 148).

*„რაღა თქმა უნდა, ძირითადი ტვირთი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში რუსეთის წილად მოდის. ამ ეტაპზე სხვა გამოსავალი არ არის. რუსეთი ხომ რეალურად აღმოჩნდა ჩართული ამ პროცესში კონფლიქტის აღმოცენების პირველ დღეებშივე. ამიტომაც, ეს მძიმე ტვირთი ერთად უნდა ვზიდოთ“* – აცხადებდა ედუარდ შევარდნაძე რუსეთ–საქართველოს ურთიერთობების განხილვისას („საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 15 იანვრის რადიოინტერვიუ,“ 1996).

თუმცა, მიუხედავად შევარდნაძის რწმენისა და განცხადებებისა, ორგანიზაციის წევრობამ საქართველოს არ მოუტანა ის სარგებელი, რისი მოლოდინიც არსებობდა. თბილისი ამაოდ ცდილობდა კრემლისაგან მიეღო მხარდაჭერა შეიარაღებული ძალების ფორმირებასა და სეპარატისტებთან მოლაპარაკებების პროცესში. ნათელი იყო, რომ რუსი პოლიტიკოსები არასოდეს განიხილავდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხს, ნაცვლად ამისა ისინი მუდმივად ისწრაფვოდნენ საქართველოს ტერიტორიული დანაწევრებისაკენ.

მიუხედავად საქართველოს წინააღმდეგ მიმართული აშკარა ქმედებებისა, შევარდნაძე და მისი მთავრობა კვლავ ცდილობდნენ კონფლიქტის მოგვარების გზები მოსკოვში ეძებნათ, მაგრამ ამ მხრივ წარმტების მიღწევა სულ უფრო ნაკლებად იყო მოსალოდნელი. 1999 წლიდან ორ მხარეს შორის ურთიერთობები განსაკუთრებით დაიძაბა მას შემდეგ, რაც საქართველომ მხარი არ დაუჭირა რუსეთს ჩეჩნეთთან მიმდინარე მეორე ომში. არსებული მძიმე ვითარება კიდევ უფრო მეტად გაართულა შემდეგმა მოვლენებმა: საქართველო აქტიურად ჩაერთო კასპიის ზღვის ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირების პროექტებში, 1999 წლის ეუთოს სტამბოლის სამიტის გადაწყვეტილების საფუძველზე რუსეთის ფედერაცია იძულებული შეიქნა

დათანხმებოდა საქართველოს ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანას (Matsabeidze, 2008, 148).

თუმცა, მიუხედავად საქართველო–რუსეთს შორის არსებული ზემოხსებენული სირთულეებისა, საქართველოს ლიდერის მხრიდან მეზობელთან განსაკუთრებული ურთიერთობების დამყარების სურვილი წარსულში არ დარჩენილა. 2000 წლის 9 აპრილს საინაუგურაციო სიტყვაში ედუარდ შევარდნაძემ კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოსათვის რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის მნიშვნელობა. ქვეყნის ლიდერმა ასევე ისაუბრა 1994 წელს მხარეებს შორის გაფორმებულ ჩარჩო ხელშეკრულებაზეც: *„ხელშეკრულება რუსეთთან, ჩვენს დიდ მეზობელთან 1994 წელს გაფორმდა, იგი დღემდე არ არის რატიფიცირებული რუსეთის მხრიდან. ჩემი თვალსაზრისით ეს ხელშეკრულება იქნებ კიდევაც მოძველდა, სწორედ ამიტომ უნდა ვიფიქროთ ახალი ორმხრივი – დიდი ხელშეკრულების დადებაზე, თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებაზე“* (შევარდნაძე, 2000).

თავის დასასრულს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ედუარდ შევარდნაძის ორმაგი დამოკიდებულება და ცვალებადი რიტორიკა რუსეთის მიმართ ერთდროულად ემსახურებოდა, როგორც საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებასა და განმტკიცებას, ისე რუსეთისა და დასავლეთის დაბალანსებას, ასევე საერთაშორისო იზოლაციონიზმისაგან თავის დაღწევას. თუკი იმ პერიოდის საქართველოში მიმდინარე მოვლენებს ზედმიწევნით გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ სწორედ ედუარდ შევარდნაძის დაბალანსებულმა რიტორიკამ, როგორც რუსეთის, ისე დასავლეთის მიმართ არამარტო შევარდნაძის ხელისუფლება, არამედ საქართველოც იხსნა დანაწევრებისაგან.

# 5. მიხეილ სააკაშვილის მმართველობა

საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის რიტორიკაში რუსეთის ფედერაციის მიმართ ორი პერიოდი გამოიყოფა - პრეზიდენტობის პირველი ვადა, როდესაც სააკაშვილი აქტიურად საუბრობს მეზობელ რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებასა და სუფთა ფურცლიდან დაწყების აუცილებლობაზე და 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომი პერიოდი, როდესაც ქვეყნის პირველი პირის განცხადებებსა და ოფიციალურ დოკუმენტებში რუსეთის როლი და იმიჯი უკიდურესად უარყოფით დატვირთვას იძენს.

მიხეილ სააკაშვილის რიტორიკის განხილვამდე მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ იმ პერიოდის საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარება, რაც მთავარ როლს თამაშობდა საგარეო პოლიტიკისა და შესაბამისად ჩრდილოელი მეზობლის მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში.

2003 წლის 2 ნოემბერს საქართველოს მოსახლეობა გაყალბებული არჩევნების შედეგების გასაპროტესტებლად ქუჩაში გამოვიდა. რუსთაველის გამზირზე 20 დღის განმავლობაში მიმდინარე დემონსტრაციები საბოლოოდ ხელისუფლების ცვლილებით დაგვირგვინდა. 22 ნოემბერს ახლადარჩეული პარლამენტის პირველ სდომაზე დარბაზში ოპოზიციის დემონსტრანტები შეიჭრნენ მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით და პარლამენტარებსა და პრეზიდენტს იძულების წესით შენობა დაატოვებინეს. 23 ნოემბერს საქართველოს მეორე პრეზიდენტი - ედუარდ შევარდნაძე გადადგა. როგორც გია ნოდია აღნიშნავს, ნოემბრის ვარდების რევოლუცია ქართველი ხალხისა და მისი ინსტიტუტებისათვის ერთდროულად წარმოადგენდა, როგორც მარცხს, ისე უდიდეს გამარჯვებასაც. ერთის მხრივ მათ ვერ შეძლეს ძალაუფლების კანონიერი და კონსტიტუციური გადაცემის უზრუნველყოფა, მაგრამ ამავე დროს ნოემბერში მიმდინარე მოვლენებმა დაადასტურა, რომ ქართველი ხალხი დემოკრატიული ღირებულებების ერთგულია და პოლიტიკური უფლებების გათელვას არავის აპატიებდა.

ვარდების რევოლუციის შემდგომ არნახული სისწრაფით გაიზარდა მიხეილ სააკაშვილისა და მისი ნაციონალური მოძრაობის პოპულარობა. მოსახლეობაში გაჩნდა რწმენა, რომ სწორედ სააკაშვილს შეეძლო ქართველ ერს ღირსეულად გაძღოლოდა წინ. შედეგებმაც არ დააყოვნა და ფაქტიურად უკონკურენტო საპრეზიდენტო არჩევნებში ხმების 96.27% პროცენტით მიხეილ სააკაშვილი ხალხმა საქართველოს მესამე პრეზიდენტად აირჩია (ნოდია & სქოლტბახი, 2006).

აღსანიშნავია, რომ საქართველოში განხორციელებული ხელისუფლების ცვლილების შედეგად გაჩნდა მოლოდინი, რომ საქართველოს და რუსეთს შორის ურთიერთობები ახალი ფურცლიდან დაიწყებოდა. მიხეილ სააკაშვილმა და მისმა მმართველმა გუნდმა დაგმო შევარდნაძის დამოკიდებულება რუსეთის მიმართ და თავი შორის დაიჭირა ბალანსირების პოლიტიკისაგან. 2004 წლის იანვარში დავოსში გამართულ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის შეხვედრაზე სააკაშვილმა განაცხადა, რომ შევადნაძისაგან განსხვავებით, რომელსაც რუსეთი სჭიდებოდა, როგორც მტერი საშინაო სირთულეების დაძლევის მიზნით, მას რუსეთი სჭირდებოდა როგორც მეგობარი. აღნიშნული სიტყვებითა და რუსეთთან ურთიერთობების გაღრმავების მოწოდებით, სააკაშვილმა რუსი ნაციონალისტების მოწონება და კეთილგანწყობა დაიმსახურა (Tsereteli, 2013, 208). მაგალითად, რუსეთის საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის საბჭოს ლიდერი სერგეი კარაგანოვი აცხადებდა, რომ როგორც რუსი ნაციონალისტი იგი მოხარული იყო მიხეილ სააკაშვილის არჩევითა და შევარნდაძის წასვლით, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებდა, რომ რუსეთის ფედერაცია არ ცდებოდა. მისი აზრით, ახალი ვითარების გათვალისწინებით რუსეთში უნდა დასრულებულიყო გულგრილობის, კერძოდ კი ნეგატიური გულგრილობის პოლიტიკა საქართველოს მიმართ (Berry, 2004).

ვარდების რევოლუციის შედეგად ქვეყნის სათავეში მოსულმა ახალგაზრდა პრეზიდენტმა და მისმა მთავრობამ მთავარ მიზნად საქართველოს აღმშენებლობა და განვითარება დაისახა, ამისათვის კი მნიშვნელოვანი იყო დასავლურ ქვეყნებთან თანამშრომლობა და მეზობლებთან, პირველ რიგში კი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების ნორმალიზება. ყოველივე ეს ნათლად აისახა საქართველოს პრეზიდენტის რიტორიკაშიც.

მიხეილ სააკაშვილის დადებითი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ და ურთიერთობების ნორმალიზების სურვილი ყველაზე კარგად 2004 წლის 25 იანვარს საინაუგურაციო ღონისძიებაზე წარმოთქმულ სიტყვაში გამოჩნდა, სადაც პრეზიდენტმა მთელი ქვეყნისა და უცხოელი სტუმრების გასაგონად რუსეთის ფედერაციას „მეგობრობის ხელი“ გაუწოდა. სააკაშვილმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ საქართველოს რუსეთი სჭირდებოდა როგორც მეგობარი, ძლიერი მოკავშირე და პარტნიორი და არა როგორც მტერი. მისი განცხადებით დადგა დრო, როდესაც საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობები „სუფთა ფურცლიდან“ დაიწყებოდა (სააკაშვილი, 2004ა).

სააკაშვილის მეგობრული რიტორკა რუსეთის მიმართ საქმეში იმით გამოიხატა, რომ თებერვალში პრეზიდენტის რანგში ერთ–ერთი პირველი ოფიციალური ვიზიტი სწორედ კრემლში განახორციელა, პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან მოლაპარაკებების გამართვის მიზნით. სააკაშვილის განცხადებით მოსკოვში ვიზიტი წარმოადგენდა პირველ რეალურ წარმატებას ქართულ–რუსული ურთიერთობების რეგულირების პროცესში: *„ეს იყო მხოლოდ პირველი ნაბიჯი. ამ ნაბიჯს უნდა მოჰყვეს სხვა ნაბიჯები. ურთიერთობების ნელ–ნელა გამოსწორება და ორი ქვეყნის პოზიციების დაახლოება“.* სააკაშვილის მოსაზრებით, ასევე ძალზედ მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ მიღწეულ იქნა შეთანხმება წლების განმავლობაში შეჩერებული ჩარჩო ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზეც.

თბილისში დაბრუნებული მიხეილ სააკაშვილი სიამაყით აცხადებდა, რომ პუტინთან გამართული გულთბილი შეხვედრა დასტური იყო იმისა, რომ რუსეთის ფედერაციისათვის გაწვდილი „მეგობრობის ხელი“ ჰაერში გაწვდილი არ დარჩა. მან ქვეყნისათვის სასურველი შედეგი გამოიღო და მალე მაგარ ხელის ჩამორთმევად გადაიქცეოდა: *„ვფიქრობ, რომ შედეგად შეიქმნება უფრო დიდი ურთიერთნდობის ატმოსფერო. უნდა ვთქვა, რომ ჩემს წინამორბედს რუსეთთან ურთიერთობებში დიდი პრობლემები ჰქონდა. ვთვლი, რომ მე მსგავსი პრობლემები არ მაწუხებს, არ მადევს წარსულის ტვირთი ჩვენს სახელმწიფოებს შორის ჩამოყალიბებული ჩემთვის გაუგებარი ურთიერთობების“ („საქართველოს და რუსეთს შორის დათბობის პერიოდი დაიწყო,“ 2004)*

ქვეყნის პირველი პირი საჯაროდ აცხადებდა, რომ მოხარული იქნებოდა თუკი წლის ბოლოს პუტინი საქართველოს ეწვეოდა, რის შედეგადაც მხარეები გააფორმებდნენ ჩარჩო ხელშეკრულებას. სააკაშვილი ასევე აქტიურად უსვამდა ხაზს იმ ფაქტს, რომ მისი მმართველობის პირველივე წელს ხელი მოეწერებოდა ხელშეკრულებას, რომელზე შეთანხმებასაც მხარეები ვერ ახერხებდნენ 1994 წლიდან მის პრეზიდენტად არჩევამდე (Sepashvili, 2004).

სააკაშვილის რიტორიკაში ასევე აქტიურად ესმებოდა ხაზი იმ ფაქტს, რომ სწორედ მისი და მისი მთავრობის უდიდეს მიღწევას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ საქართველო აღარ იდგა არჩევანის წინაშე ამერიკას, რუსეთსა და ევროპას შორის: *„ჩვენ გვინდა ამერიკაც, რუსეთიც, ევროპაც და ახლო აღმოსავლეთიც, თუ ეს წაადგება საქართველოს ინტერესებს“.* თუმცა, აქვე აქტიურად იყო ნაჩვენები რუსეთთან განსაკუთრებული ურთიერთობების მნიშვნელობაც: *„რუსეთის ხელოვნურად გაღიზიანება, წინა მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები, რომ შინაგანი სისუსტეების კომპენსირება მოეხდინა რუსეთთან აგრესიული რიტორიკით, ძალიან ცუდად დამთავრდა ჩვენთვისაც და ჩვენი და რუსეთის ურთიერთობისთვისაც. დარწმუნებული ვარ, თანმიმდევრული, პრინციპული, ღირსეული საუბრით რუსეთთან ჩვენ შევძლებთ ამ ქვეყნის შემობრუნებას“*(სააკაშვილი, 2004ბ).

ქვეყნის პირველი პირი თავის ოფიციალურ განცხადებებსა და სხვადასხვა გაზეთებში გამოქვეყნებულ ინტერვიუებში ხაზგასმით აღნიშნავდა რუსეთისადმი გაწვდილი მეგობრობის ხელის მნიშვნელობას. სააკაშვილის განცხადებით აღნიშნული ქმედება საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან მართლაც, რომ უჩვეული ჟესტი იყო, რადგან ამ პერიოდში მოსახლეობაში მკვეთრად უარყოფითი განწყობა არსებობდა რუსეთის მიმართ, მისი როლის გამო გადატანილი ომისა და ნგრევის პროცესებში. თუმცა აქვე სიამაყით აღნიშნავდა, რომ მიუხედავად წარსული უბედურებებისა და განსაცდელისა, მის გამოსვლას ქართული საზოგადოება მქუხარე ტაშით მიეგება, რითაც დადასტურდ ქართველების მზაობა დაეძლიათ წარსულში არსებული დაპირისპირება და მეგობრული ურთიერთობები დაემყარებინათ რუსეთის ფედერაციასთან („ქართველებს სურთ დაძლიონ წარსულის ინერცია,“ 2004).

აღსანიშნავია, რომ მიხეილ სააკაშვილის რიტორიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ედუარდ შევარდანძის დამაბალანსებელი პოლიტიკის, როგორც უაღრესად უარყოფითი გავლენის მქონე ფაქტორის წარმოჩენას საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობებში. შევარნდაძის პერიოდში საქართველო–რუსეთის ურთიერთობებს სააკაშვილი „სუსხიანს“ უწოდებდა და აღნიშნული შედარებით მოსახლეობაში აქტიურად ნერგავდა რწმენას, რომ რუსეთთან ურთიერთობების დაძაბვა სწორედ შევარდნაძის ორმაგი პოლიტიკით იყო გამოწვეული. რაც შეეხებოდა ქვეყნებს შორის სამომავლო ურთიერთობებს, მისი განცხადებით სწორედ ახალი მთავრობა ისწრაფვოდა საქართველოს შეეძინა ერთგული და საიმედო მეზობელი ჩრდილოელი მეზობლის სახით. შედეგად, საზოგადოებაში აქტიურად მკვიდრდებოდა მოსაზრება, რომ სააკაშვილის მეშვეობით ორ მხარეს შორის ურთიერთობა იქნებოდა უფრო მეტად უშუალო და მეგობრული, ვიდრე იყო წინა ხელისუფლების პირობებში.

რაც შეეხება საქართველოს პრო–დასავლურ კურსსა და ევროპულ და ევრო–ატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების სურვილს, მიხეილ სააკაშვილის აზრით ეს სრულებითაც არ ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ფედერაციის ინტერესებს და ხელს არ უშლიდა მხარეებს შორის ურთიერთობების ნორმალიზების პროცესებს. *„ევროპულ სტუქტურებში ინტეგრირება ჩვენ რუსეთთან ერთად გვსურს, ან ყოველ შემთხვევაში, ისე, რომ რუსეთს არ დავცილდეთ. ჩვენი ინტეგრაცია არასოდეს იქნება მიმართული რუსეთის წინააღმდეგ. ეს ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილებაა, რადგან ეს არის ჩვენი უსაფრთხოების, ჩვენი ეკონომიკური აყვავებისა და განვითარების გასაღები“. („საქართველოს და რუსეთს შორის დათბობის პერიოდი დაიწყო,“* 2004*).*

მიხეილ სააკაშვილის საჯარო გამოსვლების, პარლამენტის წინაშე ყოველწლიური მოხსენებებისა და ინტერვიუების განხილვის შედეგად იკვეთება შემდეგი სურათი – სააკაშვილი თავის რიტორიკაში აქტიურად იყენებს შემდეგ სიტყვებსა და წინადადებებს: *„ურთიერთობების სუფთა ფურცლიდან დაწყება“, „რუსეთი, როგორც საიმედო მეზობელი“, „სტრატეგიული პარტნიორი“, „მეგობრობის ხელი“, „საქართველო რუსეთთან ღია და ეფექტური თანამშრომლობისათვს მზად არის“, „რუსეთის ბაზრის შენარჩუნება“* და ა.შ..

საბოლოოდ სააკაშვილის რიტორიკამ შედეგი გამოიღო და საქართველოს მოსახლეობაში გაჩნდა რწმენა, იმის თაობაზე, რომ მხოლოდ მიხეილ სააკაშვილი და მისი მთავრობა შეძლებდა რუსეთთან წლების მანძილზე გაფუჭებული ურთიერთობების აღდგენასა და ნორმალიზებას. ამას ადასტურებდა ის ფაქტიც, რომ 2006 წელს ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევების შედეგად მიხეილ სააკაშვილი (76,9%) დასახელდა ყველაზე გავლენიან პიროვნებად საქართველოში (Sumbadze, 2006, 51–52).

საქართველო–რუსეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზებისა და დათბობის პროცესი დაძაბულობით შეიცვალა 2006 წელს, როდესაც საქართველოს პარლამენტმა მოითხოვა 1992 წელს დადებული შეთანხმების კიდევ ერთხელ გადახედვა და რუსეთის ფედერაციის მხრიდან კონფლიქტის ზონიდან თავისი მშვიდობისმყოფელების გაყვანა. ქართული მხარის მოთხოვნით ისინი საერთაშორისო და „ნეიტრალური“ ძალებით უნდა ჩანაცვლებულიყვნენ. მხარეებს შორის აღნიშნულმა დაძაბულობამ დიდი გავლენა იქონია მოსკოვი–თბილისის ურთიერთობებზე. შედეგმაც არ დააყოვნა და 2006 წელს, რუსეთმა საქართველოს მოქალაქეებს რუსეთში შესვლის უფლება შეუზღუდა, ასევე ემბარგო დაადო საქართველოსათვის ყველაზე მნიშვნველოვანი პროდუქტების – ქართული ღვინის, ბორჯომის მინერალური წყლისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტს (Huseynov, 205, 123-124).

თუმცა მნიშვნელოვანია იმ ფაქტის ხაზგასმა, რომ რუსულმა სანქციებმა საქართველოს ეკონომიკური განვითარება მხოლოდ მცირე დროის მანძილზე შეაფერხა. ქვეყანაში ეკონომიკური გამოცოცხლება დროის ძალზედ მცირე მონაკვეთში, ჯერ კიდევ 2007 წელს დაიწყო. ფაქტობრივად რუსეთის ქმედებამ სრულიად სასაპირისპირო შედეგი გამოიღო – საქართველო რუსეთზე ძალზედ მცირედით დარჩა ეკონომიკურად დამოკიდებული, პოლიტიკური თვალსაზირისით კი ის უფრო მეტად დაშორდა ჩრდილოელ მეზობელს. ხსენებული მოვლენების გათვალსიწინებით, რუსეთის ფედერციამ მოიხსნა აქამდე აქტიური მედიატორისა და მშვიდობის დამცველის ნიღაბი და პირადპირი სამხედრო შეტევა განახორციელა საქართველოზე (Kukhianidze, 2010, 81).

მხარეებს შორის დაძაბულობამ კულმინაციას 2008 წელს მიაღწია, რაც საბოლოოდ საქართველო–რუსეთის ომით დაგვირგვინდა. სისხლიანი კონფლიქტი 5 დღეს გაგრძელდა, სადაც საქართველოს სამხედრო ძალები რაოდენობრივად უპირატეს რუსებთან დამარცხდნენ. შეიარაღებულ ოს სეპარატისტებთან ერთად რუსებმა ქართველი მოსახლეობისაგან სრულიად გაწმინდეს სამხრეთ ოსეთის ქართული სოფლები, გადაწვეს საცხოვრებელი სახლები და დახვირტეს კიდეც სამოქალაქო პირები (ჯონსი, 2013, 339).

აღსანიშნავია, რომ რუსეთის შეჭრას საქართველოში ძალიან მცირე კავშირი ჰქონდა უშუალოდ სამხრეთ ოსეთთან, კრემლის ქმედებებს უფრო მნიშვნელოვანი და სტრატეგიული მიზნები ედო საფუძვლად. პირველ რიგში, რუსეთი მიზნად ისახავდა მიხეილ სააკაშვილისა და მისი მთავრობის დასჯას პრო–დასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის გატარებისა და რუსეთის მოთხოვნების უგულებელყოფისთვის (Cornell, 2008, 312).

როგორც სტივენ ჯონსი აღნიშნავს, აგვისტოს ომის დაწყების მიზეზი არსებითად საქართველო არ ყოფილა. ის უფრო დაკავშირებული იყო ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხებთან, როგორებიც იყო NATO-ს აღმოსავლეთისაკენ ექსპანსია, კოსოვოს აღიარება, თავად რუსეთის უსაფრთხოება ჩრდილოეთ კავკასიაში და ევრაზიაში ნავთობისა და გაზის მარაგების კონტროლთან დაკავშირებით დასავლეთის გამოწვევა. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ხელმძღვანელობას საკუთარი ძალაუფლების დემონსტრიტება სურდა, პატარა საქართველოსთან ომი კი ხელსაყრელ გზას წარმოადგენდა დასახული მიზნების განსახორციელებლად. სცენარი მარტივი იყო – სამხედრო ძალის გამოყენებით რუსეთი ჭკუაზე მოიყვანდა მეზობელს, ამით გამაფრთხილებელ სიგნალს გაუგზავნიდა დსთ–ს დანარჩენ წევრ სახელმწიფოებს, თავად კი აიმაღლებდა დაცემულ პრესტიჟს საერთაშორისო საზოგადოებაში. ამასთანავე მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენდა ისიც, რომ საქართველოთან ომით და მასში გამარჯვებით რუსეთის ლიდერები საკუთარ უკმაყოფილო მოსახლეობას ყურადღებას გადაატანინებდნენ საგარეო პოლიტიკაზე და გარკვეული პერიოდის მანძილზე მათ ნდობასა და კეთილგანწყობას დაიბრუნებდნენ (ჯონსი, 2013, 353).

დასავლეთის ჩარევისა და რუსეთზე აქტიური ზეწოლის შედეგად 15 აგვისტოს საომარი მოქმედებები შეწყდა. მხარეებს შორის ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას, მაგრამ რუსეთმა ტრადიციას არ უღალატა და ხელმოწერისთანავე დაარღვია შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები. იგი საქართველოს ტერიტორიაზე რუსული სამხედრო შენაერთების დატოვებას არ დასჯერდა და 2008 წლის აგვისტოში აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობაც აღიარა. შედეგად, მათ ტერიტორიებზე განალაგა რუსული სამხედრო ბაზები. აღნიშნული ქმედებით რუსეთის ფედერაციამ ამ ორი მხარის, მთლიანობაში კი საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის *დე ფაქტო*ოკუპაცია განახორციელა (რონდელი, 2013, 6).

აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის დიპლომატიური ურთიერთობები გაწყდა, მიხეილ სააკაშვილის რეაქციამაც არ დააყოვნა და მისი რიტორიკა მკვეთრად ანტი–რუსული და უფრო მეტად პრო–დასავლური გახდა. მის გამოსვლებსა და განცხადებებში დამკვიდრდა ისეთი ტერმინები, როგორებიცაა – *„ოკუპანტი“, „ოკუპირებული ტერიტორიები“, „სახიფათო მტერი“, „აგრესორი“.* აქტიურად ესმებოდა ხაზი მოწოდებას, რომ რუსეთს არ უნდა შერჩენოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და მისი მოქალაქეების, განურჩევლად ეთნიკურობისა, დახოცვა (სააკაშვილი, 2008).

სააკაშვილის განცხადებების შედეგად, საქართველოში დაიწყო მოსახლეობის მობილიზაცია რუსეთის, როგორც „ოკუპნატის“ წინააღმდეგ. ქვეყნის პირველი პირის რიტორიკა საქმეში იმით გამოიხატა, რომ 2008 წელს ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებით საქართველოსათვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა დასახელდა. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობის თვალსაზრისით საქართველო–რუსეთის ომის წამოწყება რუსეთის მთავრობის ინტერესს წარმოადგენდა, აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმა გამოკითხულთა 72%. რაც შეეხება საქართველოს მთავრობისადმი საზოგადოების დამოკიდებულებას, გამოკითხულთა მხოლოდ 11%–მა დაასახელა აგვისტოს ომი, როგორც საქართველოს მთავრობის ინტერესის შედეგი (კავკასიის ბარომეტრი 2008 საქართველო).

აღსანიშნავია, რომ მიხეილ სააკაშვილი თავის  რიტორიკაში ხშირად იყენებდა შედარების მეთოდს, რომლის თანახმადაც ქართველებსა და საქართველოს „მსხვერპლად“ და ამავე დროს „გმირებად“ წარმოაჩენდა, რომელთაც საკუთარ თავზე იწვნიეს  „იმპერიული“ რუსეთის სამხედრო აგრესია. საქართველოს პრეზიდენტი ასევე აქტიურად საუბრობდა იმ მოსალოდნელ საფრთხეებზე, რასაც საქართველოს ოკუპანტი მეზობელი უქადდა: *„ეს კარგად უნდა გვახსოვდეს და გავითავისოთ ყველამ, ეს არის მტერი, რომლის უმნიშვნელოვანესი, საბოლოო და კარგად კარტიკულირებული, მკვეთრად გამოხატული მიზანია საქართველოს საბოლოო დაქუცმაცება და მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან გაქრობა“* (სააკაშვილი, 2009).

პარადოქსია, მაგრამ აგვისტოს ომში სასტიკი დამარცხებისა  და დასავლეთით იმედგაცრუების მიუხედავად,  მიხეილ სააკაშვილს არ დაუკარგავს ქვეყნის შიგნით მოსახლეობის მხარდაჭერა.  მიუხედავად იმისა, რომ არ გამართლდა  სააკაშვილის რიტორიკა იმის თაობაზე,  რომ რუსეთთან სამხედრო კონფრონტაციის პირობებში ამერიკის შეერთებული  შტატები და ჩრდილოატლანტიკური ალიანსი საქართველოს გვერდით დადგებოდა, მას არ დაუკარგავს საზოგადოების ნდობა და მხარდაჭერა. მოხდა სრულიად საპირისპირო, ომით გამოწვეული ისტერიის ფონზე ქართველებმა მხარი დაუჭირეს მის გაძლიერებულ პრო–დასავლურ და ანტი-რუსულ რიტორიკას (Huseynov, 2015, 125).

სააკაშვილმა სწორედ რუსეთის „მტრის ხატის“ შექმნითა და დამკვიდრებით შეძლო ქვეყანაში საკუთრი ავტორიტეტის შენარჩუნება. ჩრდილოეთის  მტრად გამოცხადება  და მასების მობილიზაცია  გახდა მისი ძირითადი იარაღი  პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნებისა  და ოპოზიციის წინააღმდეგ  ბრძოლაში (Khelashvili, 2011,3). მართლაც, 2008-2013 წლებში საქართველოში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებით დასტურდება, რომ  პრეზიდენტი  მიხეილ სააკაშვილი მოსახლეობის ნდობით აღჭურვილს პირს წარმოადგენდა. განასაკუთრებით მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ფიქსირდება 2011 წელს - მოსახლეობის 58% ენდობა და მხარს უჭერს საქართველოს პრეზიდენტს და მის ქმედებებს. წლების მიხედვით მონაცემები შემდეგი სახითაა გადანაწილებული  2008 წელი – 52%, 2009 წელი – 48%,

2010წელი –56%, 2012 წელი – 7%, 2013 წელი – 23% (კავკასიის ბარომეტრის დროითი მწკრივები – საქართველო).

აღსანიშნავია, რომ აგვისტოს ომიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდგომ მიხეილ სააკაშვილის რიტორიკაში თანდათანობით გამოჩნდა და დამკვიდრდა დემოკრატიულ რუსეთთან თანამშრომლობის სურვილი. აღნიშნული მოსაზრება საჯაროდ გახმოვანდა 2012 წელს სააკაშვილის ყოველწლიური საპარლამენტო მოხსენების დროს: *„ეს მარტივი არ არის, მაგრამ რუსეთი არის და იქნება საქართველოს მეზობელი, რაც განაპირობებს ჩვენს წადილს, დავამყაროთ მასთან მშვიდობა. თუმცა ეს მშვიდობა შესაძლებელია ისეთ რუსეთთან, რომელიც აღიარებს და ემორჩილება სუვერენულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების ყველა საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმას“* (სააკაშვილი, 2012).

მოკლედ, რომ შევაჯამოთ მიხეილ სააკაშვილის ცვალებადი პოლიტიკა რუსეთის ფედერაციის მიმართ, დავინახავთ რომ რუსეთის მიმართ რიტორიკა ძალზედ აქტიურ და მოსახერხებელ იარაღს წარმოადგენდა მიხეილ სააკაშვილის ხელში მასების მობილიზაციისა და ძალაუფლების მოპოვებისათვის ბრძოლის პროცესებში.

აღსანიშნავია, რომ სააკაშვილის რიტორიკა მოსახლეობაზე წარუშლელ კვალს ტოვებდა და მასებს მის მიმართ დადებითად განაწყობდა. ყოველივე ამას ქვეყნის პირველი პირი მისი აქტიური განცხადებებით, შედარებებით და ძლიერი ემოციური გამოსვლებით ახერხებდა. სწორედ მისი ძლიერი რიტორიკის შედეგად იქცა რუსეთის ფედერაცია „ოკუპანტად“, არა მხოლოდ საქართველოს მოსახლობისათვის არამედ საერთაშორისო საზოგადოებისთვისაც, საქართველო კი – „გმირად“, რომელიც მთელი თავისი ძალებითა და შემართებით იბრძოდა დიდი და საშიში მტრის წინააღმდეგ.

## 6. გიორგი მარგველაშვილის და კოალიცია „ქართული ოცნების“ მმართველობა

საქართველოს რიგით მეოთხე პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის მმართველობის პერიოდი ანტი–რუსული რიტორიკის შემცირებით, რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების მცდელობითა და პრო–დასავლური საგარეო პოლიტიკური კურსით ხასიათდება. ყოველივე ეს კი გარკვეულ მსგავსებას ავლენს ედუარდ შევარნდაძის მიერ გატარებულ საგარეო პოლიტიკასთან. მაგრამ, სანამ უშუალოდ პოლიტიკური ელიტის რიტორიკის ანალიზზე გადავიდოდეთ, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმ შიდა პოლიტიკური ცვლილებების განხილვა, რაც ახალი ხელისუფლების მმართველობამ განაპირობება საქართველოში.

2012 წლის 1 ოქტომბერს ჩატარებულმა საპარლამენტო არჩევნებმა ქვეყნის სათავეში ახალი მმართველი ელიტა - კოალიცია „ქართული ოცნება“ მოიყვანა ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით (მაკფარლეინი, 2015, 1). 2013 წლის 27 ოქტომბერს კი საქართველოში რიგით მეექვსე საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება გიორგი მარგველაშვილმა მოიპოვა. ქვეყნისათვის ძალზედ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ახლადარჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ ძალაში შევიდა 2010 წელს მიღებული კონსტიტუციური შესწორება, რომლის თანახმადაც პრეზიდენტის უფლებები შეიკვეცა პრემიერ–მინისტრისა და მთავრობის სასარგებლოდ. შედეგად გიორგი მარგველაშვილი იქცა ე.წ. „მთვლემარე პრეზიდენტად“, რომლის უფლებამოსილებაც ფართო დარჩა კრიზისულ და საგანგებო სიტუაციებში. რეფორმის შედეგად მთავრობა გახდა აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელსაც დაეკისრა ქვეყნის საშიანო და საგარეო პოლიტიკის განხორციელება. ასევე მკვეთრად გამოიკვეთა პრემიერ–მინისტრის, როგორც მთავრობის თავმჯდომარის კონსტიტუციური სტატუსი, რომელსაც მოეხსნა პრეზიდენტის წინაშე პასუხისმგებლობა (მაცაბერიძე, 2017, 24–26).

ზემოთხსნებული მოვლენებისა და კონსტიტუციური ცვლილებების გათვალისწინებით, ნაშრომის აღნიშნულ თავში საქართველოს პრეზიდენტის

რიტორიკის გარდა, ასევე გავაანალიზებთ საქართველოს პრემიერ–მინისტრების, კერძოდ კი ბიძინა ივანიშვილის, ირაკლი ღარიბაშვილისა და გიორგი კვირიკაშვილის ოფიციალურ განცხადებებსა და საჯარო გამოსვლებს.

აღსანიშნავია, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ კოალიციას საკმაოდ რთული საგარეო და საშინაო პოლიტიკური გარემო დახვდა – ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო დასავლეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის ურთიერთობების დაბალანსება (მაკფარლეინი, 2015, 1). საქართველო–რუსეთს შორის ვითარების სტაბილიზაციის მოლოდინს ქმნიდა ის ფაქტი, რომ რუსეთი და მისი ხელმძღვანელობა მიესალმა საქართველოს საპარლამენტო არჩევნების შედეგებს და ახლად არჩეულ მთავრობას ყველაფრის თავიდან დაწყების შანსი მისცა. რუსეთის ფედერაციის პირველი პირების განცხადებით ხელისუფლების ცვლილებით შესაძლებელი გახდა რუსეთ–საქართველის 2008 წლის აგვისტოს ომით შეწყვეტილი კავშირები განახლებულიყო (Kogan, 2013, 3).

ქვეყნის სათავეში მოსვლისთანავე ივანიშვილის კაბინეტმა მთავარ მიზნად რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობებისა და ნდობის აღდგენა დაისახა და დიდ მეზობლეთან ურთიერთობის გაფუჭებაში დამნაშავედ წინა ხელისუფლება და მისი აგრესიული რიტორიკა დაასახელა. ამავე დროს, ახალმა პოლიტიკურმა ელიტამ არც პრო-დასავლურ კურსზე თქვა უარი და კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს მისწრაფება და ძლიერი სურვილი ჩრდილოატალნტიკურ ალიანსსა და ევროკავშრიში გაწევრიანების თაობაზე (Huseynov, 2015, 127).

რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებისათვის პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 2012 წელს, როდესაც საქართველოს მთავრობამ პრემიერ–მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობაში სპეციალურ წარმომადგენლად ზურაბ აბაშიძე დანიშნა. აღნიშნული ქმედებით ივანიშვილმა კიდევ ერთხელ გამოხატა მზაობა დიდ მეზობლთან სამომავლო დიალოგისათვის (Kakachia, 2013, 2). ის გარემოება, რომ აბაშიძე უშუალოდ პრემიერ–მინისტრის წინაშე იყო ანგარიშვალდებული, კიდევ ერთხელ ადასტურებდა ივანიშვილისათვის საკითხის ცენტრალურობას (მაკფარლეინი, 2015, 13). რუსეთთან

ურთიერთობებში სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნას პრემიერი შემდეგი სიტყვებით გამოეხმაურა: *"ჩვენს ქვეყნებს ხარგრძლივი ისტორია აკავშირებს. ჩვენ ერთად ვცხოვრობდით საბჭოთა კავშირის შექმნამდე დიდი ხნით ადრე და მისი დაშლის შემდეგ. ახლა პირველ რიგში ჩვენ უნდა მოვაგვაროთ საქმეები და შემდგომ გადავიდეთ ახალი ტიპის ურთიერთობებზე"* (Kurashvili, 2012).

აღსანიშნავია, რომ ქართული პოლიტიკური ელიტის მხრიდან ქვეყნებს შორის ურთიერთობების დარეგულირების პროცესში სპეციალური წარმომადგენლის პოსტის შემოღებას და ამ თანამდებობაზე გამოცდილი დიპლომატი აბაშიძის დანიშნვას, რუსეთის ხელისუფლება მცირე ჭოჭმანის შემდგომ გამოეხმაურა და თავისი მხრიდან აღნიშნულ პოსტზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, გრიგორი კარასინი წარადგინა (მაკფარლეინი, 2015, 13).

ჩრდილოელ მეზობელთან თანამშრომლობის მზაობა და სურვილი ასევე ნათლად გამოიკვეთა საქართველოს რიგით მეოთხე პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის რიტორიკაშიც. ამ მხრივ აღსანიშნავია პრეზიდნეტის საინაუგურაციო სიტყვა: *„მიუხედავად დღეისათვის არსებული გართულებული ვითარებისა, ჩვენ კვლავ ვაცხადებთ მზადყოფნას გავაღრმავოთ რუსეთთან დიალოგი".* მარგველაშვილის განცხადებით შესაძლებელი იყო საქართველოს ევროპულ და ევრო–ატლანტიკურ სტრუქურებში ინტეგრაციის პარალელურად მოგვარებულიყო საქართველო–რუსეთს შორის არსებული პრობლემები, თუმცა ურთიერთობების ნორმალიზებისთვის აუცილებელი იყო რუსეთს პატივი ეცა საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრებისა და ეროვნული ინტერესებისათვის (მარგველაშვილი, 2013).

საინტერესოა, თუ რამ განაპირობა მიხეილ სააკაშვილის მთავრობისაგან განსხვავებით ახალი ხელისუფლების მხრიდან რუსეთისადმი რიტორიკის შერბილება. აღსანიშნავია, რომ კოალიცია „ქართული ოცნების" მხირდან რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების საჭიროების ხაზგასმა პირდაპირ უკავშირდებოდა წინასაარჩევნოდ და ასევე არჩევნების შემდეგაც მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვებას. ქართულ საზოგადოებაში არსებობდა უკმაყოფილება რუსეთთან გაფუჭებული ურთიერთობების თაობაზე. აღნიშნული ფაქტი დადასტურდა კიდეც, 2012 წლის

ივნისში აშშ–ის ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კველვის შედეგად. მიღებული მონაცემების თანახმად გამოკითხულთა 87%–ს არ მოსწონდა რუსეთის ფედერაციასთან საქართველოს იმჟამიდნელი ურთიერთობა (NDI Georgia Public Opinion Research, 2012). შესაბამისად, კოალიციისა და მისი მმართველი პირებისათვის მოსახლეობის მხარდაჭერის მოსაპოვებლად მოწინააღმდეგე ძალასთან, ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ერთ–ერთ იარაღად სწორედ რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირება იქცა.

ახალი ხელისუფლების მიერ გაცხადებული მიზნების მისაღწევად ბიძინა ივანიშვილმა ერთმანეთისაგან განაცალკევა ეკონომიკური და სოციალური და პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხები. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობისათვის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა რუსეთთან ეკონომიკური ურთერთობების აღდგენა, რადგან საქართველოსათვის რუსეთის ბაზარი ოდითგანვე მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა. რუსეთის მიერ დაწესებულმა ემბარგომ კი საქართველოსათვის ისეთი საკვანძო მნიშვნელობის პროდუქტებზე, როგორებიცაა ღვინო და მინერალური წყალი, დიდი დარტყმა მიაყენა ქვეყნის ვაჭრობას და მტკივნეული სოციალური შედეგებიც გამოიწვია. რაც შეეხება სავიზო შეზღუდვებს და მის შედეგებს, სერიოზული პრობლემები არსებობდა რუსეთში შრომითი მიგრაციისა და რუსეთიდან შემოსული დიდი რაოდენობის ფულადი გზავნილების შემოსვლასთან დაკავშირებით (მაკფარლეინი, 2015, 5).

შესაბამისად ქვეყანაში არსებული ვითარებისა და მოსახლეობის განწყობის გათვალისწინებით ახალი პოლიტიკური ელიტის რიტორიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა რუსეთის ფედერაციასთან ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენის საკითხმა. თუმცა, ბიძინა ივანიშვილის განცხადებით რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების განახლება სრულებითაც არ მოასწავებდა რაიმე სახის კომპრომისს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხთან დაკავშირებით. ყოველივე აღნიშნულის დასტურია პრემიერ–მინისტრის შემდეგი სიტყვები: *„რუსეთთან ვაჭრობის აღდგენა წარმოადგენს ნდობის აღდგენის პროცესის გაგრძელებას, მაგრამ ჩვენ მტკიცედ მოვითხოვთ რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებას“*(Brooke, 2013).

რუსეთის ფედერაციის მიმართ კონსტრუქციული პოლიტიკა გაგრძელდა მომდევნო პრემიერ–მინისტრების, შესაბამისად ირაკლი ღარიბაშვილისა და გიორგი კვირიკაშვილის მმართველობის პერიოდებშიც. ორივე მათგანის რიტორიკისათვის დამახასიათებელია აქტიური მოწოდებები რუსეთთან დაახლოების, მხარეებს შორის ნდობის აღდგენის და ეკონომიკური კავშირების დამყარების თაობაზე. ასევე პოლიტიკური ელიტების განცხადებებში აქტიურად იყო ხაზგასმული ახალი ხელისუფლებისა და მისი რიტორიკის გადამწვეტი მნიშვნელობა ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობების ნორმალიზების პროცესში. პოლიტიკური ელიტის აღნიშნულ რიტორიკას აძლიერებდა და გარკვეულწილად ზურგს უმაგრებდა „კარასინი–აბაშიძის“ ფორმატის ფარგლებში გარკვეული სახის წარმატებები ეკონომიკისა და ტურიზმის სფეროებში.

აღსანიშნავია, რომ თავისი წინამორბედის მსგავსად ირაკლი ღარიბაშვილიც რუსეთთან ურთიერთობების დაძაბვაში მთავარ მიზეზად მიხეილ სააკაშვილის გატარებულ პოლიტიკას ასახელებდა და ჩრდილოელ მეზობელთან დაახლოების პროცესში წარმატებას ახალი მთავრობის პრაგმატულ პოლიტიკასა და რიტორიკას უკავშირებდა. „ჩვენ წარმატებით გავაგრძელეთ ორი წლის წინ ბიძინა ივანიშვლის ინიცირებული პრაგმატული პოლიტიკის კურსი და შედეგად მივიღეთ ნორმალიზებული ვაჭრობა და ეკონომიკური ურთიერთობები რუსეთთან, რამაც გაზარდა ექსპორტის რაოდენობა რუსეთში. დღემდე ვცდილობთ ჩვენი მთავრობა წარმოვაჩინოთ, როგორც ძალზედ პრაგმატული, კუნსტრუქციული და სტაბილური.“ ღარიბაშვილის განცხადებით მიუხედავად არაერთი მცდელობისა, მათ კონსტრუქციულ პოლიტიკას გავლენა არ მოუხდენია პოლიტიკურ სიტუაციასა და საკითხებზე. ახალმა ხელისუფლებამ რუსეთთან მხოლოდ სავაჭრო და ეკონომიკურ საკითხებზე შეძლო მიეღწია შეთანხმება (Government of Georgia, 2014).

ირაკლი ღარიბაშვილი თავის განცხადებებსა და ინტერვიუებში აქტიურად უსვამდა ხაზს იმ ფაქტს, რომ სწორედ კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და მისი მმართველი პირების მიღწევას წარმოადგენდა რუსეთთან ურთიერთობებში წინ გადადგმული ნაბიჯები. ამ მხრივ განსაკუთრებულ მიღწევად მიიჩნეოდა ქართული პროდუქციისათვის რუსეთის ბაზრის ხელახალი გახსნა, რაც მომგებიანი იყო, როგორც

ქართული, ისე რუსული მხარისთვისაც. „ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ჩვენ ვართ კონსტრუქციული მთავრობა, ჩვენ ვართ პრაგმატული ხალხი, ჩვენ გვინდა მშვიდობიანი და ნორამლური ურთიერთობები ყველასთან, მათ შორის რუსეთთან“ (Buckley, 2014). ღარიბაშვილის განცხადებით რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების საკითხში მნიშვნელოვანი იყო რუსეთისათვის იმის ჩვენება, რომ საქართველოს პრო-დასავლური კურსი მისთვის საფრთხის შემცველი არ იყო. „ჩვენ უნდა დავარწმუნოთ რუსეთი, რომ საქართველოს ევრო-ინტეგრაცია არ წარმოადგენს საფრთხეს. რუსეთი დაინტერესებული უნდა იყოს ჰყავდეს ძლიერი, სანდო და დემოკრატიული მეზობელი“ (Morris, 2014).

რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების მოწოდებები შენარჩუნდა საქართველოს შემდგომი პრემიერ–მინისტრის ოფიციალურ რიტორიკაშიც. ქვეყნის სათავეში მოსვლისთანავე გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ გაგრძელდებოდა კოსტრუქციული პოლიტიკა რუსეთის ფედერაციის მიმართ. საქართველო–რუსეთს შორის ნდობის აღდგენის პროცესში პრემიერის განცხადებით აუცილებელ პირობას წარმოადგენდა რუსეთის ხელმძღვანელობამდე იმ გზავნილის მიტანა, რომ საქართველოს დასავლური ორიენტაცია და სწრავდა დასავლურ სტურქტურებში ინტეგრაციისაკენ არ ქმნიდა კონფრონტაციას რუსეთთან. კვირიკაშვილის თვალსაზრისით, მხარეებს შორის ურთიერთობების ნორმალიზების პროცესში მნიშნველოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა რუსეთთის მიმართ მტრული და შეურაცხმყოფელი რიტორიკის შეწყვეტა, რაც დამახასიათებელი იყო მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდისათვის: *„ჩვენ უნდა ვიყოთ თანმიმდევრულები სტრატეგიულ გადაწყვეტილებებში, მაგრამ ასევე, მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ კონფრონტაციული მესიჯები არ გავაგზავნოთ რუსეთში და გამოვიყენოთ ყველანაირი შესაძლებლობა დიალოგისათვის“.*

გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, ახალი ხელისუფლების მნიშვნელოვან წარმატებას წარმოადგენდა ის ფაქტიც, რომ საქართველოს გარკვეული ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდა რუსეთთან და ტურიზმის მიმართულებითაც შეიმჩნეოდა პროგრესი. ყოველივე ეს გარკვეულ წინაპრობებს ქმნიდა, რუსეთის ფედერაციის

მხრიდან რისკების თავიდან აცილების თვალსაზრისით და საქართველოს აძლევდა განვითარების საშუალებას (როდონაია, 2016).

რუსეთის ფედერაციასთან თანასწორობის პრინციპზე დაფუძვნებული ურთიერთობების დამყარების სურვილი კიდევ ერთხელ დადასტურდა საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის 2015 წლის ყოველწლიურ საპარლამენტო მოხსენებაშიც: *"დღეს ჩვენი ამოცანა რუსეთის „პრივილეგირებული ინტერესების სფეროების" კონფრონტაციული პარადიგმის მიღმა დარჩენა და რუსეთთან თანასწორობის პრინციპებზე დაფუძვნებული კეთილმეზობლური პოლიტიკის დადგენაა"* (მარგველაშვილი, 2015). პრეზიდენტის რიტორიკაში იგივე განწყობა და განცხადებები შეინიშნება 2016 წლის ყოველწლიური საპარლამენტო მოხსნების დროსაც: *„კიდევ ერთხელ, როგორც სახელმწიფოს მეთაური, ვადასტურებ საქართველოს სწრაფვას კეთილმეზობლური, ერთმანეთის ეროვნული ინტერესების, ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემისა და თანასწორუფლებიანობაზე დაფუძვნებული ურთიერთობისაკენ"* (მარგველაშვილი, 2016).

2012 წელს საქართველოს სათავეში მოსული კოალიცია „ქართული ოცნების" პირველი პირების ანალიზისას ნათლად იკვეთება, რომ რიტორიკაში ძირითადი ადგილი რუსეთის ფედერაციასთან წინა ხელისუფლების მიერ გაფუჭებული ურთიერობების აღდგენა–ნორმალიზებასა და ეკონომიკური კავშირების დამყარების საკითხებს უკავია. როგორც პრემიერ–მინისტრების, ისე სახელმწიფოს მეთაურის მხრიდან ისმის განცხადებები რუსეთის ბაზრის გახსნის მნიშვნელობასა და ეკონომიკური პროგრესის თაობაზე. საინტერესოა, თუ რა გავლენას ახდენდა ახალი პოლიტიკური ელიტის რიტორიკა საქართველოს მოსახლეობის განწყობაზე რუსეთის ფედერაციისა და მის ქმედებებთან დაკავშირებით.

საქართველოს პრემიერ–მინისტრების რიტორიკა პრაქტიკაში იმით გამოიხატა, რომ მეზობელი რუსეთის ფედერაციის მიმართ საზოგადოებრივმა აზრმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. ფაქტია, ახალი ხელისულფების მმართველობის პერიოდში რუსეთის, როგორც მთავარი მტრის აღქმის მაჩვენებელი მნიშვნელოვად შემცირდა. კავკასიის ბარომეტრის მონაცემების თანახმად, თუკი 2013

წელს საქართველოს მოსახლეობის 44% ქვეყნის მთავარ მტრად რუსეთის ფედერაციას აღიქვამდა, 2015 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა დაიკლო და 35%–მდე ჩამოვიდა (კავკასიის ბარომეტრი საქათველო, 2013-2015).

რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხს და მის მნიშვნელობას მოსახლეობისათვის, აქაც შეიმჩნევა არსებითი ცვლილებები. თუკი 2008 წლის მონაცემებით დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა სახელდება ქვეყნისათვის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად, ვითარება რადიკალურად იცვლება კოალიცია „ქართული ოცნების“ ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდგომ პერიოდში. პოლიტიკური ელიტების რიტორიკის შედეგად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის ფაქტები, რომ 2012 წელს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემას საქართველოსათვის პირველადი მნიშვნელობის საკითხად ასახელებს მოსახლეობის მხოლოდ 7%, 2015 წელს კი აღნიშნული მაჩვენებელი კიდევ უფრო მცირდება და 5%–მდე ჩამოდის (კავაკსიის ბარომეტრი საქართველო).

ახალი მთავრობის მიერ გატარებული პრაგმატული პოლიტიკისა და რიტორიკის წარმატებას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ 2016 წლის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა – 52% ეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკა უნდა იყოს პრო-დასავლური, მაგრამ ამავე დროს ქვეყანამ უნდა შეინარჩუნოს კარგი ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან. გამოკითხულთა მხოლოდ 14% უჭერს მხარს საქართველოს პრო-დასავლურ საგარეო პოლიტიკას, 16%–ს კი მიაჩნია, რომ მთავრობამ უნდა გაატაროს პრო-რუსული საგარეო პოლიტიკა, თუმცა შეინარჩუნოს კარგი ურთიერთობები ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან (NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2016).

მოკლედ რომ შევაჯამოთ აღნიშნული თავის სათქმელი, კოალიცია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ შევცალა მიხეილ სააკაშვილის ანტი–რუსული რიტორიკა და ჩრდილოელი მეზობლის მიმართ უფრო მეტად სტაბილური და პრაგმატული პოლიტიკური კურსი აირჩია. რუსეთის მიმართ რიტორიკის ცვლილება, პირველ რიგში მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმ პეროდს საქართველში არსებულ შიდა პოლიტიკურ

ვითარებასთან. მოვლენების ანალიზისას ნათლად გამოჩნდა, რომ რიტორიკა იქცა მოხერხებულ პოლიტიკურ იარაღად მოსახლეობის მხარდაჭერის მოსაპოვებლად არჩევნებში გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობებში მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების განცალკევება, რის შედეგადაც თანდათანობით გაიხსნა სავაჭრო საზღვრები სასოფლო სამეურნეო პროდუქციის, ღვინისა და მინერალური წყლისათვის, თუმცა 2008 წლის ომიდან გამომდინარე ფუნდამენტურ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობის გამო ურთიერთობების ნორმალიზების პროცესი მაინც შეზღუდული დარჩა (მაკფარლეინი, 2015, 14).

აღსანიშნავია, რომ ახალი პოლიტიკური ელიტის რიტორიკა და გატარებული პოლიტიკა მსგავსებას ამჟღავნებს ედუარდ შევარდნაძის დაბალანსებულ პოლიტიკასთან. ქვეყნის პირველი პირების, პრეზიდენტისა და პრემიერ მინისტრების განცხადებებსა და ინტერვიუებში ძალზედ იშვიათად ვხვდებით ისეთ ანტი–რუსული განწყობასა და რიტორიკას, რაც კრემლის პროვოცირებასა და გაღიზიანებას გამოიწვევს (Naskidashvili, 2015, 46). თუმცა, მიუხედავად შერბილებული რიტორიკისა და მეზობლისადმი გაგზავნილი პოზიტიური სიგნალებისა, რუსეთის ფედერაცია ისევე როგორც წარსულში, საქართველოს აქტიურ წინააღმდეგობას უწევს ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის დამოუკიდებლად გატარებისპროცესში (მაკფარლეინი 2015, 2).

# დასკვნა

ნაშრომი მიზნად ისახავდა ქართველი პოლიტიკური ელიტების რიტორიკის ცვლილების შესწავლას რუსეთის მიმართ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 2016 წლის ჩათვლით. კერძოდ, კვლევის ფარგლებში განვიხილეთ საქართველოს ოთხი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძის, მიხეილ სააკაშვილისა და გიორგი მარგველაშვილის მმართველობის პერიოდები.

ნაშრომში დადასტურდა ჰიპოთეზა, რომ ქართველი პოლიტიკური ელიტების რიტორიკის ცვლილება რუსეთის მიმართ განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით – ხელისუფლების ცვლილებით, საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილებით, ქვეყანაში შიდა პოლიტიკური ვითარების ცვლილებითა და მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვების საჭიროებით.

ფაქტი, რომ რუსეთის ფედერაციის მიმართ რიტორიკა და დამოკიდებულებები იცვლებოდა ქვეყნის სათავეში ახალი მმართველი პოლიტიკური ელიტების ცვლის პარალელურად, დადასტურებულია ოთხივე პრეზიდენტის მმართველობის პერიოდებში. ზვიად გამსახურდიას ანტი-იმპერიალისტური და მმართველობის ბოლო ეტაპზე ანტი-რუსული რიტორიკა შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლამ და ჩრდილოეთსა და დასავლეთს შორის ბალანსირების პოლიტიკამ დაასრულა. საპრეზიდენტო არჩევნებში მიხეილ სააკაშვილის გამარჯვებით კი დასრულდა შევარდნაძის ორამგი რიტორიკა და აქტიურად გაისმა მოწოდებები რუსეთთან ურთიერთობის „სუფთა ფურცლიდან“ დაწყების თაობაზე. თავდაპირველი „თბილი“ გზავნილების მიუხედავად, სააკაშვილის რიტორიკა მკვეთრად ანტი-რუსული გახდა 2008 წლის აგვისტოს ომისა და რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შემდეგ. რუსეთისადმი დამოკიდებულება კიდევ ერთხელ შეიცვალა ხელისუფლების სათავეში კოალიცია „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, რითაც დასრულდა დიდ მეზობელთან „მტრული“ რიტორიკა და ურთიერთობების ნორამლიზების პროცესს დაედო სათავე.

საგარეო პოლიტიკური კურისის გავლენა შეინიშნება ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის  რიტორიკასა და  რუსეთის მიმართ გატარებულ პოლიტიკაზე. საქართველოს გაწევრიანებამ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა  თანამეგობრობაში ჩრდილოეთსა და დასავლეთს შორის ბალანსირების პოლიტიკას დაუდო სათავე. მიხეილ სააკაშვილის აშკარა პრო-დასავლურმა რიტორიკამ და  საქართველოს გაძლიერებულმა სწრაფვამ დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციისაკენ  ქვეყანა ომამდე მიიყვანა და მეზობელი, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობების დამყარება ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმაოდგენდა „ოკუპანტად“  და „მტრად“ აქცია.

ნაშრომში ასევე გამოჩნდა, რომ პოლიტიკური ელიტის  რიტორიკა  ცვლილებას განიცდიდა საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვებისა და მასების მობილიზაციის მიზნით. ამ მხრივ აღსანიშნავია მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდი და მისი ანტი–რუსული რიტორიკა საქართველო-რუსეთის აგვისტოს ომის შემდგომ. სააკაშვილის განცხადებები  მოსახლეობაში  რუსეთის  „მტრის ხატის“  შექმნას ისახავდა მიზნად, რათა ამით კომპენსირებულიყო პრო–დასავლური რიტორიკის მარცხი და ომში დამარცხებით დაკარგული ტერიტორიების შედეგად  შერყეული ძალაუფლება.

აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგად ასევე გამოიკვეთა „ორი რუსეთის“ – დემოკრატიული და პროგრესული რუსეთისა და ავტორიტარული რუსეთის არსებობის იდეა. მოცემული ხედვა  ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდებში იყო აქტუალური და მათი რიტორიკაც ამის მიხედვით იცვლებოდა ჩრდილოელი მეზობლის მიმართ.  იმის მიხედვით, თუ რომელი რუსეთის იდეა დომინირებდა კონრკეტულ პერიოდში იცვლებოდა პირველი პირების რიტორიკა დადებითიდან უარყოფითისაკენ ან პირიქით.

საბოლოოდ კვლევამ დაადგინა, რომ  რუსეთის მიმართ რიტორიკის ცვლილებაში მნიშვნველოვან  როლს თამაშობდა ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა  ქვეყანაში არსებული შიდა პოლიტიკური ვითარება, საგარეო პოლიტიკური კურსი, საზოგადოების განწყობა და შეხედულებები, მაგრამ მათ შორის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა პოლიტიკური ელიტების რწმენებსა და იდეებს, რაც

განსხვავდებოდა სხვადასხვა ხელისუფლების მმართველობის პერიოდებში და შესაბამისად იწვევდა რუსეთის ფედერაციის მიმართ ოფიციალურ რიტორიკის ცვალებადობას.

# გამოყენებული ლიტერატურა

**აგვისტოს ნანგრევებში.** (2009). ფონდი ღია საზოგადოება საქართველო. თბილისი.

**არისტოტელე**. (1981). *რიტორიკა.* (თ. კუკავა, Trans.) თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**დავითაშვილი,** ზ. (2003). *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია.* თბილისი: მეცნიერება.

**ზურაბიშვილი**, თ. (2006). *თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

**მაცაბერიძე**, მ. (2014). *პოლიტიკური რიტორიკა.* პოლიტიკური კომუნიკაციის საშუალებების ისტორიული განვითარება. თბილისი.

**მაცაბერიძე**, მ. (2017). *პრეზიდენტის ინსტიტუტი საქართველოში.* საქართველოს პოლიტიკური სისტემა. თბილისი.

**რონდელი**, ა. (2009). *პატარა ქვეყანა საერთაშორისო ურთიერთობებში.* თბილისი: ნეკერი.

სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი - ცნობარი. (2004). თბილისი: ლოგოს პრესი

**ფრანკფორტ–ნაჩმიასი**, ჩ., &. ნაჩმიასი, დ. (2009). *კვლევის მეთოდები სოციოლოგიურ მეცნიერებებში.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**შევარდნაძე**, ე. (2006). *ფიქრი წარსულსა და მომავალზე* . თბილისი: პალიტრა L.

**წამალაშვილი**, ე. (2016). *დამოუკიდებლობის გაკვეთილები.* თბილისი: არტანუჯი.

**ჯონსი**, ს. (2013). *საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

**Barrington**, L. W. (2006). Nationalism & Independence. In L. W. Barrington (Ed.), *After Independence: Making and Protecting the Nation in Postcolonial and Postcommunist States* (pp. 3-30). United States of America: The University of Michigan Press.

**Brass**, P. R. (1991). *Ethnicity and Nationalism: Theory and Comparison*. New Delhi: Sage Publications Inc.

**Bremmer,** I. (2006). The post-soviet nations after independence. In L. W. Barrinton (Ed.), *After Idependence: Making and Protecting the Nation in Postcolonial & Postcommunist States* (pp. 141-186). United States of America: The University of Michigan Press.

**Jones**, S. &. Kakhishvili, L. (2013). The interregnum: Georgian forein policy from independence to the rose revolution. In K. Kakachia & M. Cecire (Eds.), *Georgian Foreign Policy: The Quest for Sustainabel Security* (pp. 13-40). Konrad-Adenauer-Stiftung.

**Mosca,** G. (1939). *The Ruling Class*. (H. D. Kahn, Trans.) The United States of America: McGraw-Hill Book Company, Inc.

**Naskidashvili**, M. (2015). Georgia: reducing anti-Russian rhetoric, accelerating co-operation with the European Union. In *Unrewarding Crossroads? The Black Sea Region amidst the European Union and Russia* (pp. 41-57). Sofia: Sofia Platform.

**Nodia**, G. (2013). Divergent interests: what can and cannot be achieved in Georgia-Russia relations. In K. Kakachia & M. Cecire (Eds.), *Georgian Foreign Policy: The Quest for Sustaunable Security* (pp. 97-109). Tbilisi: Konrad-Adenauer-Stiftung.

**Pareto,** V. (1935). *The Mind and Society* (A. Livingston, Ed). London: Jonathan Cape Ltd. (Original work published 1916)

**Rondeli**, A. (2001). The choice of independent georgia. In G. Chufrin (Ed.), *The Security of the Caspian Sea Region* (pp. 195-210). Oxford University Press.

**Slider**, D. (1995). Georgia. In E. Curtis (Ed.), *Armenia, Azerbaija, Georgia: Country Studies*. Federal Research Devision: Library of Congress.

**Sumbadze,** N. (2006). *Georgia Public Opinion Barometer 2006*. Tbilisi. IPS.

**Suny,** R. G. (1994). *The Making of The Georgian Nation* (2 ed.). Indiana University Press.

**Tsereteli**, M. (2013). The scars of separatism: the impact of internal conflicts on Georgian foreign policy. In K. Kakachia & M. Cecire (Eds.), *Georgian Foreign Policy: The Quest for Sustainable Security* (pp. 205-2014). Tbilisi: Konrad-Adenauer-Stiftung.

**Waal,** T. D. (2010). *The Caucasus: An Introduction*. New York: Oxford University Press.

**Walliman**, N. (2011). *Research Methods: The Basics*. London and New York: Routledge.

**Yin,** R. K. (2009). *Case Study Resarch: Desaign and Methods* (4 ed., Vol. 5). United States of America: SAGE Publications, Inc.

## გაზეთები:

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს შესვლასთან დაკავშირებით. (1994, 3 მარტი). *საქართველოს რესპუბლიკა*. გვ. 1.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლა ერთადერთი სწორი და გონივრული ნაბიჯია. (1993, 26 ოქტომბერი). *საქართველოს რესპუბლიკა*. გვ. 1.

ედუარდ შევარდნაძის წერილი ალექსანდრე რუცკოის. (1992, 23 ივნისი). *საქართველოს რესპუბლიკა*. გვ. 1.

ედუარდ შევარდნაძის პასუხიიზვესტიის კითხვაზე. (1992, 24 დეკემბერი). *საქართველოს რესპუბლიკა*. გვ. 1.

ეროვნება არ აქვს ცხოველს. (1992, დეკემბერი 6). *აღდგომა*, გვ. 1,2.

ზვიად გამსახურდია: კრემლი ულტიმატუმებით გველაპარაკება. (1991, 16 მარტი). *საქართველოს რესპუბლიკა*. გვ. 1.

ზვიად გამსახურდია: კრემლის ზღურბლს მაშინ გადავაბიჯებ, როცა თავისუფალი საქართველოს მოქალაქე ვიქნები. (1991, 22 თებერვალი). *საქართველოს რესპუბლიკა*. გვ. 1.

მიმართვა რუსეთის სფს  რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა III საგანგებო ყრილობას. (1991, 3 აპრილი). *საქართველოს რესპუბლიკა.* გვ. 1.

მიმართვა ჩემი სამშობლოს ყველა მეგობარს! (1993, 21 სექტემბერი). *საქართველოს რესპუბლიკა.* გვ. 1.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბ-ნ ბორის ელცინს რუსეთის ფედერაციის მთავრობას. (1993,  5 ნოემბერი). *აღდგომა.*

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას გამოსვლა ტელევიზიით 1991 წლის 25 მარტს. (1991, 26 მარტი). *საქართველოს რესპუბლიკა.* გვ. 1.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატის ბატონ ზვიად გამსახურდიას საარჩევნო პროგრამა. (1991, 22 მაისი).  *საქართველოს რესპუბლიკა.* გვ. 2, 3.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის განცხადება. (1992, აგვისტო 6). *ქართული აზრი.* გვ.1.

საქართველოს რესპუბლიკის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა გაეროს გენერალური ასამბლეის 47-ე სესიაზე. (1992, 29 სექტემბერი). *საქართველოს რესპუბლიკა.* გვ. 1,2.

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 15 იანვრის რადიოინტერვიუ. (1996, 16 იანვარი). *საქართველოს რესპუბლიკა.* გვ. 1,2.

საქართველოს და რუსეთს შორის დათბობის პერიოდი დაიწყო. (2004, 13 თებერვალი). *საქართველოს რესპუბლიკა.* გვ. 3.

ქართველებს სურთ დაძლიონ წარსული ინერცია, იმეგობრონ რუსეთთან და ისინი ამისთვის მზად არიან. (2004, 13 თებერვალი). საქართველოს *რესპუბლიკა.*  გვ. 3,4.

## სტატიები:

**მაკფარლეინი,** ს. (2015). ოცნების ორი წელი: საქართველოს საგარეო პოლიტიკა გარდამავალ პერიოდში. ლონდონი: Chathman House. ხელმისაწვდომია: http://css.ge/files/Papers/MacFarlane_2015_GEO.pdf ნანახია: 02.07.2017

**რონდელი**, ა. (2013). საქართველო–რუსეთი: უარყოფითიდან დადებით გაურკვევლობამდე. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. ხელმისაწვდომია: http://gfsis.org/ ნანახია: 02.07.2017

**Chikovani,** N., & Kakitelashvili, K. (2015). Fluctuating memory: Rotating images of the "Big Brother" and "Agressor". *Культура/Culture, 10,* 130-139. Retrieved from: http://journals.cultcenter.net/index.php/culture/article/view/158/140 ნანახია: 02.07.2017

**Cornell**, E. S. (2008, October). War in Georgia, jitters all around. *Current History: A Journal of Contemporary World Affairs,* 307-314. Retrieved from: http://georgica.tsu.edu.ge/files/05-Security/Cornell-2008.pdf ნანახია: 02.07.2017

**Gegeshidze**, A. (2002). Georgia: In quest of a niche strategy. *Connections: The Quarterly Journal, 1(3)*, 3-12. Retrieved from: http://connections-qj.org/article/georgia-quest-niche-strategy ნანახია: 03.07.2017

**Huseynov**, V. (2015). The foreign policy of Post-Soviet Georgia: Strategic idealism and the Russian challenge. *Caucasus International, 5,* 117-131. Retrieved from: http://cijournal.az/post/the-foreign-policy-of-post-soviet-georgia-strategic-idealism-and-the-russian-challenge-vasif-huseynov ნანახია: 03.07.2017

**Kakachia,** K. &. Minesashvili, S. (2015). Identity politics: Exploring Georgian foreign policy behaviour. *Journal of European Studies, 6(2),* 171-180. Retrieved from:

http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1879366515000111 ნანახია: 03.07.2017

**Kakachia**, K. (2013). Georgia and Russia: from uneasy rapprochement to divorce? *PONARS Eurasia, Policy Memo No.264.* Retrieved from: http://gip.ge/georgia-and-russia-from-uneasy-rapprochement-to-divorce/ ნანახია: 03.07.201

**Kane**, J., & Patpan, H., (2010). The artless art: leadership and the limits of democratic rhetoric. *Australian Journal of Political Science, (45),* 371-389. Retrieved from: https://www.researchgate.net/profile/John_Kane6/publication/47799682_The_Artless_Art_Leadership_and_the_Limits_of_Democratic_Rhetoric/links/5441a1b10cf2e6f0c0f65bea/The-Artless-Art-Leadership-and-the-Limits-of-Democratic-Rhetoric.pdf ნანახია: 03.07.2017

**Khelashvili,** G. (2011). Georgias's Foreign Policy Impasse: Is Consensus Crumbling? PONARS Eurasia, Policy Memo No.187, 1-6. Retrieved from: http://old.ucss.ge/Khelshvili%20ponars-%20187-2011-09.pdf ნანახია: 03.07.2017

**Kogan**, E. (2013). Russian-Georgian relations and the reaction from the European Union. Tbilisi: Georgian Foundation for Strategic and International Studies. Reftieved from: http://gfsis.org/ ნანახია: 03.07.2017

**Kukhianidze,** A. (2010). On the Russia-Georgia conflict. In Russia and Georgia: The Ways out of the Crisis (pp.73-90). *Istanbul Process.* Retrieved From:

http://www.peaceportal.org/documents/130125980/130573126/7.+Alexandre+Kukhianidze+On+the+Russia-Georgia+Conflict.pdf ნანახია: 03.07.2017

**Matsaberidze**, M. (2008). Russia and Georgia: Post-Soviet metamorphoses of mutual relations. *Central Asia and The Caucasus, 5(53),* 145-149. Retrieved from:

https://ru.scribd.com/document/142683314/Central-Asia-and-the-Caucasus-2008-Issue-5-53 ნანახია: 03.07.2017

## ელექტრონული წყაროები:

კავკასიის ბარომეტრი 2008 საქართველო. (2008, ოქტომბერი-ნოემბერი). ხელისაწვდომია: http://caucasusbarometer.org/ge/cb2008ge/codebook/ ნანახია: 25.06.2017

კავკასიის ბარომეტრი 2013 საქართველო. (2013, ოქრომბერი–ნომებერი). ხელმისაწვდომია: http://caucasusbarometer.org/ge/cb2013ge/codebook/ ნანახია: 25.06.2017

კავკასიის ბარომეტრი 2015 საქართველო. (2015). ხელმისაწვდომია: http://caucasusbarometer.org/ge/cb2015ge/codebook/ ნანახია: 25.06.2017

კავკასიის ბარომეტრის დროითი მწკრივები - საქართველო. ხელმისაწვდომია: http://caucasusbarometer.org/ge/cb-ge/codebook/ ნანახია: 25.06.2017

**მარგველაშვილი**, გ. (2013, 17 ნოემბერი). საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის წარმოთქმული სიტყვა ინაუგურაციის ცერემონიალზე [მოხსენება]. ხელმისაწვდომია https://www.president.gov.ge/ka-GE/prezidenti/inauguracia.aspx ნანახია: 01.07.2017

**მარგველაშვილი**, გ. (2015, 31 მარტი). საქართველოს პრეზიდენტის 2015 წლის ყოველწლიური საპარლამენტო მოხსენება [მოხსენება]. ხელმისაწვდომია: https://www.president.gov.ge/ka-GE/prezidenti/cliuri-mokhseneba/2015-clis-saparlamento-mokhseneba.aspx ნანახია: 01.07.2017

**მარგველაშვილი**, გ. (2016, 3 თებერვალი). საქართველოს პრეზიდენტის 2016 წლის ყოველწლიური საპარლამენტო მოხსენება [მოხსენება]. ხელმისაწვდომია: https://www.president.gov.ge/ka-GE/prezidenti/cliuri-mokhseneba/2016-clis-saparlamento-mokhseneba.aspx ნანახია: 01.07.2017

**ნოდია**, გ., &. სქოლტბახი, ა, პ. (2006). საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი. პოლიტიკური პარტიები: მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები. თბილისი: CIPDO. ხელმისაწვდომია: http://www.nplg.gov.ge/ ბოლო ნახვა: 28.06.2017

**როდონაია**, ნ. (2016, 20 თებერვალი). გიორგი კვირიკაშვილი: საზოგადოების კონსოლიდაცია ჩემი ერთ–ერთი უმთავრესი ამოცანაა. რადიო თავისუფლება. ხელმისწავდომია: https://www.radiotavisupleba.ge/ ნანახია: 02.07.2017

**სააკაშვილი**, მ. (2004ა, 24 თებერვალი). მიხეილ სააკაშვილის სიტყვა, წარმოთქმული ფიცის დადების საზეიმო ცერემონიალზე [მოხსენება]. ხელმისაწვდომია: http://www.saakashviliarchive.info/ge/President/Inauguration ნანახია: 29.06.2017

**სააკაშვილი,** მ. (2004ბ, 22 აპრილი). მიხეილ სააკაშვილის ყოველწლიური საპარლამენტო მოხსენება [მოხსენება].ხელმისაწვდომია: https://www.president.gov.ge/ ნანახია: 29.06.2017

**სააკაშვილი**, მ. (2008, 7 ივლისი). მიხელ სააკაშვილის ყოველწლიური საპარლამენტო მოხსენება [მოხსენება]. ხელმისაწვდომია: https://www.president.gov.ge/ ნანახია:29.06.2017

**სააკაშვილი**, მ. (2009, 12 თებერვალი). მიხეილ სააკაშვილის ყოველწლიური საპარლამენტო მოხსენება [მოხსენება]. ხელმისაწვდომია: https://www.president.gov.ge / ნანახია: 29.06.2017

**სააკაშვილი,** მ. (2012, 1 თებერვალი). მიხეილ სააკაშვილის ყოველწლიური საპარლამენტო მოხსენება [მოხსენება]. ხელმისაწვდომია: https://www.president.gov.ge/ ნანახია: 01.07.2017

**შევარდნაძე**, ე. (2000, 9 აპრილი). ედუარდ შევარდნაძის ინაუგურაცია [მოხსენება]. ხელმისაწვდომია: https://www.president.gov.ge/ ნანახია: 30.06.2017

**NDI**: საზოგადოების განწყობა საქართველოში. (2016, მარტი). ხელმისაწვდომია: http://caucasusbarometer.org/ge/na2016ge/codebook/ ნანახია 25.06.2017

**Government of Georgia**. (2014, October 16) Prime Minister's Comment [Press realize]. Retrieved from: http://gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=387&info_id=45063 ნანახია: 02.07.2017

**Brooke**, J. (2013, August 5). Georgia PM Optimistic on Russia Relations. *VOA*. Retrieved from https://www.voanews.com/ ნანახია: 29.06.2017

**Buckley**, N. (2014, November 26) Georgia Calls on West to Condemn Abkhazia Treaty with Russia. *Financial Times*. Retrieved from https://www.ft.com/ ნანახია: 29.06.2017

**Kurashvili**, N. (2012, November 12). Georgia's new leader seek fresh start with Russia. *Global Voices Caucasus*. Retrieved from https://iwpr.net/ ნანახია: 26.06.2017

**Morris**, C. (2014, February 4). Georgia PM Garibashvili in Sochi warning to Russia. *BBC News*. Retrieved from http://www.bbc.com/news ნანახია: 26.06.2017

NDI.(2012). Public attitudes in Georgia: results of a June 2012 survey. Retrieved from: https://www.ndi.org/sites/default/files/Georgia-NDI-survey-update-June2012-ENG.pdf ნანახია: 26.06.2017

**Putin**, V. (2005, April 25). Annual address to the Federal Assembly of the Russian Federation [Transcript]. Retrieved from http://en.kremlin.ru/events/president/transcripts/22931 ნანახია: 25.06.2017

**Sepashvili**, G. (2004, February 14). Moscow-Tbilisi: problems remain, despite cordial tone. *Civil.ge.* Retrieved from http://www.civil.ge/eng/ ნანახია: 24.06.2017

დანართი N1

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Mari Mchedlishvili

# The Image of Russia in the Rhetoric of The Georgian Political Elites (1990-2016)

Nationalism and Ethnicity Studies

Submitted to obtain Master Degree in Nationalism and Ethnicity Studies

Supervisor: David Matsaberidze

PhD, Political Science

Assistant Professor

Tbilisi

2017